

519/2
984



ეროვნული
ენციკლოპედია

ISSN 0180-1624



მ. 1,5,10

საქართველო

თემატიკური

№ 2 1984 წ.





სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეკლარაციის კანდიდატები

4 კანდიდატი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეკლარაციის კანდიდატების ღია!

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების კამპანიამ ნათლად გამოხატა საბჭოთა ხალხისა და კომუნისტური პარტიის მონოლითური ერთიანობა, სოციალისტური დემოკრატიის სიმძლავრე.
სამრეწველო, სამშენებლო ორგანიზაციებმა, კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა ჩვენი ქვეყნის ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს დეპუტატობის კანდიდატებად დაასახელეს მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობისა და ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლები.

ჩნები და სიპართლი

ალბათ, ჩვენი უძველესი წინაპრის ადამიანად ქცევის პროცესი მას შემდეგ უფრო სწრაფად წავიდა წინ, როცა იმაზე დაფიქრდა, მოძმეს ტკივილი რითი დავუბო, მის წყლულს რითი ვუწამლო.

იმ ხნიდან მოყოლებული დღემდე არ შეუწყვეტია ადამიანს ზრუნვა, ფიქრი და ძიება სწორი პასუხისა კითხვაზე: „რამა წამალი შენისა წყლულისა განკურნებისა?“

ჩვენ, ქართველებს, ამ მხრივ ცოტათი მეტი გვაქვს საამაყო, რადგან იმ უძველესმა და უკეთილშობილესმა სფერომ ადამიანის მოღვაწეობისა, რომელიც ჩვენს ჯანმრთელობას ემსახურება — მედიცინამ — სახელი კოლხთა გრძელეული ასულის მედეას სახელისაგან მიიღო.

მედეას გრძელეულებას მითოლოგია მის მიერ სამკურნალო მცენარეთაგან უებარი წამლის დამზადებისა და მისი გამოყენების ცოდნას უკავშირებდა.

სწორედ მედეასა და მის საოცარ ბალზე ვფიქრობდი, როცა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ი. გ. ქუთათელაძის სახელობის ფარმაცოქიმიის ინსტიტუტში მივდიოდი მისი დირექტორის, ფარმაცევტულ მეცნიერებათა დოქტორის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, პროფესორ ეთერ ქემერტელიძის სანახავად. იგი ის-ის იყო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელეს ქობულეთის რაიონის ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების სრულიად საქავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ჩაქვის ფილიალის, ხულოს რაიონის სოფელ კორტონის ლენინის სახელობისა და შუახევის რაიონის სოფელ დღვანის კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრებებმა.

პირველი, რაც დირექტორის კაბინეტში შესვლისას თვალში მომხვდა, სწორედ მედეა გახლდათ. უფრო ზუსტად — ფარმაცოქიმიის ინსტიტუტის ემბლემა, რომელიც მხატვარს სწორედ ასე გაუაზრებია. კოლხეთის მეფის გრძელეული ასულს ცალხელში რალაც უცნაური მცენარის ყვავილ-

წული უბყრია, ხოლო მეორეში — მედიცინის სიმბოლოდ მიჩნეული თასი. შესანიშნავი მეტაფორაა — ლაკონური, მეტყველი და ზუსტი. ინსტიტუტის საქმიანობის მიზანიც ხომ ესაა — სამკურნალო მცენარეთა შესწავლა და მათ საფუძველზე სამკურნალო პრეპარატების შექმნა.

მითი მითია, მაგრამ საბჭოთა საქართველოში ფარმაცევტულ მეცნიერებას და განსაკუთრებით ფარმაცევტულ მრეწველობას საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე ჩაეყარა საფუძველი. ფარმაცოქიმიის ინსტიტუტი კი 50 წლისაა. მისი წესადირკვლე, აკადემიკოსი იოველ ქუთათელაძე ასპირანტურაში ეთერ ქემერტელიძის ხელმძღვანელი გახლდათ და ცოდნასთან ერთად საქმის ფანტატიკურ სიყვარულსა და უსაზღვრო ერთგულებას გადასცემდა თავის ბეჯით მოწაფეს.

საქართველოს შედარებით მცირე ტერიტორიაზე მრავალზე მრავალი სამკურნალო მცენარის არსებობა (მათი რიცხვი 5 ათასამდეა, სსრ კავშირში კი 20 ათასია) ამ დარგის განვითარების აუცილებლობას განაპირობებს.

წამალი! როგორ ჩნდება იგი ავადმყოფის მაგიდაზე? თუ გინახავთ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, მთებსა და ველებში გასული ადამიანები, რომლებიც დაკვირვებით ჩასცქერიან ველურად მზარდ მცენარეებს, სათუთად აგროვებენ, სწავლობენ მათ გავრცელებასა და ბიოლოგიურ თვისებებს. ისინი ფარმაცოქიმიკოსები არიან. ამის შემდეგ მცენარეებს ქიმიურ ლაბორატორიებში სწავლობენ სხვადასხვა ქიმიური კლასის შენაერთებზე. აქ ანალიზის მეთოდებს ამუშავებენ. შემდეგ საქმეში ებმებიან ფარმაცოლოგები, რომლებიც აკვირდებიან მიღებულ ნივთიერებათა გავლენას ცხოველის ორგანიზმზე, რის შემდეგაც პრეპარატი კლინიკური გამოკვლევისათვის საბჭოთა კავშირის ცენტრალურ კლინიკებში იგზავნება. თუ კი დადებითად შეფასდა, იწყება მისი ფართო მოხმარებისათვის გამოშვება.



ფარმაცოქიმიურ ინსტიტუტში მუშაობს ექსპერიმენტული საწარმოო ბაზაც, სადაც ახალი პრეპარატის ტექნოლოგიის დახვეწა და მისი გამოშვებაც ხდება. ინსტიტუტს სამკურნალო მცენარეთა საცდელ მინდორზე — 22 ჰექტარზე მოჰყავს სამკურნალო მცენარეები. აქვე სწავლობენ, ხვეწენ მისი გამრავლების მეთოდებს და აღგენენ აგრორეკომენდაციებს მათი სამრეწველო მეთოდით მოშენებისათვის. ამას გარდა, ინსტიტუტს აქვს სამკურნალო მცენარეთა საყრდენი პუნქტი აფხაზეთში და 75 ჰექტარი — შირაქში. ამ დიდ და რთულ მეურნეობას სათავეში უდგას შესანიშნავი მეცნიერი ეთერ ქემერტელიძე. ინსტიტუტმა თავისი არსებობის მანძილზე 50-ზე მეტი პრეპარატი შექმნა. ათზე მეტის ავტორი თვითონ იგი გახლავთ.

საქართველოს მცენარეთა ნელეოლოგიის გამოკვლევასა და მათ საფუძველზე სამკურნალო პრეპარატების შექმნას ეთერ ქემერტელიძემ 240-მდე მეცნიერული ნაშრომი და ხუთი მონოგრაფია მიუძღვნა. მეცნიერ ქალს 25 საავტორო მოწმობა აქვს, მაგრამ ამ აღიარებას კმაყოფილები-სა და გაკეთებულით დამშვიდების გრძნობა არ მოუგვრია მისთვის. ისეთი გიტაცე-



ამხ. ბორის ვასილის ძე ნიკოლსკი დაიბადა 1937 წელს, რუსია, სკკპ წევრია 1963 წლიდან. 1959 წელს დაამთავრა მოსკოვის სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის ინსტიტუტი ინჟინერ-მექანიკოსის სპეციალობით. 1972 წელს დაამთავრა სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული დაუსწრებელი უმაღლესი პარტიული სკოლა.

შრომითი საქმიანობა ამხ. ბ. ვ. ნიკოლსკიმ 1959 წელს დაიწყო მოსკოვის სოფლის მეურნეობის მექანიზაციის საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის საცდელი მანქანათსაშენებელი ქარხნის საექსპერიმენტო საამქროს ოსტატის თანამშემუდ. შემდეგ მუშაობდა საექსპერიმენტო საამქროს უფროს ოსტატად, უფროსის მოადგილედ, ტექნიკური განყოფილების უფროსად, ამ საწარმოს მთავარ ინჟინრად. 1965 წელს იგი აირჩიეს სოფ-

ლის მეურნეობის მექანიზაციის საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის პარტკომის მდივნად.

1968-1972 წლებში ამხ. ბ. ვ. ნიკოლსკი მუშაობდა პარტიის ქალაქ მოსკოვის უდანოვის რაიკომის მდივნად. 1972-1973 წლებში იყო უდანოვის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე. 1973 წელს აირჩიეს პარტიის უდანოვის რაიკომის პირველ მდივნად.

1976-1981 წლებში მუშაობდა მოსკოვის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილედ, ხოლო 1981 წლიდან — პარტიის საქალაქო კომიტეტის მდივნად.

ამხ. ბ. ვ. ნიკოლსკი დაჯილდოებულია ორი შრომის წითელი დროშის ორდენით, „საპატიო ნიშნის“ ორდენით და მედლებით; არის რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

ბით, ისეთი ძალისხმევითა და ენერგიით მუშაობს, თითქოს მხოლოდ ახლა იწყებდეს და ყველა მეცნიერული სიმალე მომავალში ჰქონდეს დასალაშქრავი. ცხოვრებაში საამოდ გაწონასწორებული, სათნო და მშვიდი ადამიანი მეცნიერებაში მუდმივი უკმარისობის, დაუკმაყოფილებლობისა და ახლის აღმოჩენისაკენ სწრაფვის დაუოკებელი ყინითაა შეპყრობილი და აქვს მეცნიერის, ხელმძღვანელის მეტად საშური უნარი — ეს ყინი სხვასაც გადასდოს, სხვებიც აიყოლიოს. ალბათ, ესეც არის მიზეზი, რომ ბოლო ორ წელიწადში ინსტიტუტში 10 დისერტაცია დაიცვეს, მათ შორის — სადოქტოროც.

ყველგან, სადაც კი გამოსულა მოხსენებით ქართველი მეცნიერი ქალი — ახალ ზელანდიაში, კანადაში, ინდოეთში, უნგრეთში, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, იუგოსლავიაში, მის საქმიან, დახვეწილ, ყოველთვის სიახლის შემცველ მოხსენებას კოლეგების ყურადღება მიუპყრია სიღრმითა და კონკრეტულობით. გასულ წელს თბილისში ჩატარებული საბჭოთა კავშირ-ინდოეთის სიმპოზიუმის შემდეგ სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა ი. ოგჩინიკოვმა წერილი გამოუგზავნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტს, აკადემიკოს ნ. ხარაძეს და სთხოვა მას, მადლობა გადაეცა საორგანიზაციო კომიტეტის ხელმძღვანელების — აკადემიკოს ს. ღურშიშიძისა და აკადემიის წევრ-კორესპონდენტს ე. ქემერტელიძისათვის შესანიშნავი ორგანიზატორული მუშაობისათვის, რაც მთავარია, იმ შესანიშნავი მოხსენებებისათვის, რაც მან და ინსტიტუტის სხვა თანამშრომლებმა სიმპოზიუმზე წარმოადგინეს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XV პლენუმის მონაწილეებს ეთერ ქემერტელიძემ უამბო იმის შესახებ, თუ როგორ მუშაობენ საქართველოში ბუნებრივი რესურსების შესწავლისა და მათგან სამკურნალო პრეპა-

რატების წარმოებისათვის. საკავშირო ქიმიურ-ფარმაცევტულ ინსტიტუტთან თანამშრომლობით გადაწყდა სტეროიდულ ჰორმონალური პრეპარატების წარმოების პრობლემა.

შექმნილია ურემიის საწინააღმდეგო პრეპარატი ფლარონინი. მისი წარმოებაში დანერგვით ნაწილობრივ მაინც დაკმაყოფილება ურემიის სამკურნალო პრეპარატებზე დიდი მოთხოვნილება. მიღებულია ალკალიდი კოლხიცინი — ერთადერთი საშუალება ამილოიდოზის და ე. წ. პერიოდული დაავადების სამკურნალოდ. ბათუმის ქიმიურ-ფარმაცევტულ ქარხანაში ყოველწლიურად შეიძლება მივიღოთ 10 კილოგრამი კოლხიცინი, რაც სრულად დააკმაყოფილებს მთელი ჩვენი ქვეყნის მოთხოვნას ამ პრეპარატზე. ინსტიტუტში შექმნილია ათეროსკლეროზის საწინააღმდეგო საშუალება.

ორგანიზებულია ისეთი მნიშვნელოვანი რეაქტივების წარმოება, როგორცაა დიგიტონანი, ფრანგულაემოდინი, კოლხიცინი, თეასპონინი.

ფაბრიკა „ივერიასთან“ ერთად შექმნილია სამკურნალო-პროფილაქტიკური კბილის პასტა „ლუგელა“, ასკანის თიხისაგან დამზადებული ნელსაცხებელი და მრავალი სხვა.

ასე რომ, ჩვენს რესპუბლიკაში ყველა პირობაა სამედიცინო მრეწველობის ფართო განვითარებისათვის.

მეცნიერმა ქალმა სამეცნიერო კადრების მომზადების პრობლემაზეც ისაუბრა. აღნიშნა მათი არამართო პროფესიული დონის ამაღლების აუცილებლობა, არამედ ზრუნვა მომავალი მეცნიერის მორალურ-პოლიტიკურ სახეზე და ამ საქმეში ის დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ხელმძღვანელის პირად მაგალითს, ხელმძღვანელისა, რომლის მოვალეობაა, თვისი მოწაფე აზიაროს სამეცნიერო და ადამიანური ეთიკის მაღალ ნორმებს. შექმნას

კოლექტივში დიდი შრომისმოყვარეობისა და მაღალი მოქალაქეობრიობის ატმოსფერო.

ვინც ეთერ ქემერტელიძის ცხოვრებისა და მუშაობის სტილს იცნობს, უთუოდ დაგვეთანხმება, რომ იგი მეცნიერულად და ზნეობრივად, დიხაც, საუკეთესო პირად მაგალითს აძლევს თავის ახალგაზრდა კოლეგებს, თუ როგორი რწმენითა და სიმართლით უნდა ემსახურო ქვეყანას, ხალხს, საყვარელ საქმეს.

ხალხის მსახური! იშვიათად რომ ვისმეს ასე მიესადაგოს ეს წოდება, როგორც ეთერ ქემერტელიძეს.

— რას მოელოთ მომავალში, როგორც მეცნიერი და მოღვაწე? — ვკითხე პროფესორს.

— საქართველოში ქიმიურ-ფარმაცევტული მრეწველობის განვითარების მასშტაბების ზრდას. ამ მხრივ საკავშირო თვალსაზრისითაც ბევრის გაკეთებაა საჭირო. თვით აჭარაში, სადაც მე ასეთი ნდობა გამომიცხადეს, საკავშირო სამკურნალო მცენარეთა ინსტიტუტის ამიერკავკასიის ფილიალის ქობულეთის ზონალური სადგურის მუშაობის გაუმჯობესებისათვისაც საჭიროა ზრუნვა.

ამგვარად, სამუშაო ბევრია.

ოღონდაც რომ ასე! მე აქ შეგნებულად არ ჩამოვთვალე ყველა იმ რედკოლეგიის, სამეცნიერო საბჭოს, სამეცნიერო საზოგადოების, სექციის, პრობლემური კომისიისა და სხვათა სახელწოდება, რომლის მუშაობაში წლების მანძილზე აქტიურად მონაწილეობს მეცნიერი ქალი.

მთავარი ისაა, რომ ყველაფერს, რაც მეცნიერების წინსვლასა და განვითარებას უწყობს ხელს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატი ეთერ ქემერტელიძე ემსახურება რწმენითა და სიმართლით.

ნარგიზა მგელაძე,

საქართველოს კომპარტიის კრემლის ლაშქარბატი.

მეფოლადის ერთი დღე

გივი ჯახუა,

„დროის“ სპეციალური კორესპონდენტი.

● ღამის ცვლაში მომუშავე ახალგაზრდა მეფოლადე ნირწამხდარი დახვდა ადრიანად მოსულ გოდერძი ფანჩვიძეს — დნობა გაუგრძელდა, დაიბნა, ვერ მოაბა საქმეს თავი.

გამოცდილმა მეფოლადემ გაამხნევა იგი და უმაღლესი სამართავ პულტთან გაჩნდა, სახელური გადართო. სარკველმა მძიმედ აიწია, ლუმელის სარკმლიდან მოცისფრო ალმა იფეთქა. შეჩვეულმა თვალმა მაშინვე იგრძნო, რა აკლია ლუმელს. თან ჩქარობს გოდერძი. რაღაც არ უნდა დაუჯდეს, ორი ნაღობის გამოშვება უნდა მოასწროს, რომ ღამის ცვლის შეფერხება გამოსაწიროს.

ლუმელმა მიიღო საჭირო მიწარევები. მშვიდად მოთუხთუხე ლავა ერთბაშად აფორიქდა, ვულკანივით ავარდა. იწვოდა ზედმეტი გოგირდი და ლითონის ზედაპირს ქაფად ედებოდა. ასე უფოთავდა თხუთმეტობად წუთს, მერე წიდა გადმოანთხია და თანდათან დამშვიდდა. ცოტაც და ნაღობმა ჯერ ოქროსფერი, მერე უფრო მოთეთრო ფერი გადაიკრა. ეს დუდილის დამთავრებას ნიშნავდა.

— გაუშვით! — ვასცა განკარგულება გოდერძი ფანჩვიძემ, თვითონ კი მორიგი ჩატვირთვის თადარიგს შეუდგა.

ასე დაიწყო მუშაობა იმ დღეს მარტენის საამქროში, რომელსაც მეტალურგიული ქარხნის გულს უწოდებენ, ცოცხალ, მფეთქავ გულს.

საჩხერელი ამაგდარი კაცის. ომიდან ჭრილობებითა და სამშობლოს მრავალი ჯილდოთი დაბრუნებული სევასტი ფანჩვიძის ოჯახიდან არწივის კიდევ ერთი მართვე აფრინდა.

ეს მოხდა გულის ძახილით, გოდერძი ვერ დაელოდა საშუალო სკოლის დამთავრებას. მეცხრე კლასიდან რუსთავის მესამე პროფტექნიკურ სასწავლებელში მოეწყო. ჯერ წლოვანება არ უწყობდა ხელს, მარტენის ლუმელთან, აბა, ვინ მიუშვებდა. იქ კი შეეძლო დაუფლებოდა მეფოლადის პროფესიას, თან ხშირად უხდებოდა ყოფნა იმ ადამიანებთან, ვისი სახელებიც ლეგენდებად დადიოდა ხალხში.


როდესაც მბორგავ საამქროში პირველად შედგა ფეხი, ლუმელებიდან გამოტყორცნილი ცეცხლის ენები ავად შიშინებდნენ.

— რაო, ბიძიკო, ხომ არ შეგეშინდა, — ჰკითხა მომღიმარმა კაცმა ალერსიანად.

— არა! — ფიცხლად თქვა ახალბედამ და ვაჟა გიგიბერიას სიმტკიცე და სიმშვიდე საბოლოოდ დაიბედა იმ დღეს.

გოდერძი ფანჩვიძის მასწავლებელი კი ცნობილი მეფოლადე მიხეილ სპანდერაშვილი იყო. ეს დარბაისელი, დინჯი და ყურადღებიანი კაცი დაუზარელად უზიარებდა ლითონის დნობის ოსტატობას.

ასე მოვიდა მეფოლადეთა დიდ ოჯახში ახალგაზრდა, რო-



ეროვნული გიგანტობა

მელიც შემდგომ თვითონ გახდა სხვების აღმზრდელი, სწვისთვის მისაბაძი და მაგალითის მიმცემი.

● ● ●
გოდერძის პირველმა ხელშემწყობმა ვია ზამბახიძემ ლუმელს ხერელი გაუხსნა და ლითონის ნაკადული დგაფუნით გადაუშვა გოლიათურ ციციხეში. მეფოლადემ მაშინვე მეორე ხელშემწყობი, ბუხუტი სამხარაძე ამოიყენა გვერდით და ლუმელის გაწყობის თადარიგს შეუდგა.

ლუმელიდან ლითონის გამოშვებისთანავე მისი ხელმეორედ გაწყობის დაწყება მხოლოდ გამოცდილ, დახელოვნებულ სპეციალისტს ძალუძს. ამ დროს ცვლაში, სულ ცოტა, 30-40 წუთი მაინც ეზოგებათ.

ამასთანავე, ეს პროცესი მიმდინარეობს ლუმელში ტემპერატურის დონის მაქსიმალური შენარჩუნებით. ამ გზით გოდერძი ფანჩვიძე ყოველდღიურად ზოგავს სათბობსა და ენერგორესურსებს.

— დაკვირვება და საქმის სიყვარულია საჭირო, რომ ახალ რეზერვებს მიაგნო. რეზერვები კი ჩვენთან უხვად არის, — ამბობს გოდერძი. — ლითონის დნობის ყოველ ეტაპზეა შესაძლებელი წუთების დაზოგვა. ყოველი დაზოგილი წუთი კი დიდ მოგებას გვაძლევს. წელიწადში ჩვენ საშუალოდ შვიდი ათას ნაღობს ვუშვებთ, თუ მეფოლადეები ყოველ ჩატვირთვაზე 15 წუთს დავზოგავთ, მაშინ წელიწადში დამატებით 105 ათასი ტონა

პროლეტარებო ყველა ჭკვენიხა, შეერთდით!

დროშა

№ 2 (566) თებერვალი 1984

ფურნალი გამოდის 1923 წლიდან

სოციალისტური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიბერალური-სამხატვრო შურნალი

მთავარი რედაქტორი
სუბა გერულავა

საქართველოს კავშირის გამომცემლობა

© „დროშა“, 1984 წ.

სარედაქციო კოლეგია:

გულნარა ბახტაძე (პ/მგ. შლივანი), ნათელა გიორგოზიანი, თინათინ გომოლაძე (მთავარი რედაქტორის მოადგილე), ოთარ დემეტრაშვილი, სარგო ლუბიშიძე, ვახტანგ ესვანაძე, ოთარ თურაძი, დინარა ნოღია (მხატვარ-რედაქტორი), ლადო სულაბერიძე, ილია ტაბაღაძე, ნუგზარ ფოფხაძე, ვიორგი ჩარკვიანი, უჩა ჯახარაძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

ამხ. ვ. ვ. კოლბინის საქართველოს სსრ უმაღლესი
საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით
დაჯილდოების შესახებ

საქართველოს პარტიულ ორგანიზაციაში აქტიური და ნა-
ყოფიერი მუშაობისათვის, რესპუბლიკის ეკონომიკურ და სო-
ციალურ განვითარებაში დიდი წვლილისათვის ამხ. ვენადი ვასი-
ლის ძე კოლბინი დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი
საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის
თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის
მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1984 წლის 4 იანვარი.

ლითონი შეგვიძლია გამოვად-
ნოთ. ეს მხოლოდ დნობის ერთ
მონაკვეთზე. ასეთი რეზერვებ-
ი სხვაც ბევრია და თუ მათ
გონივრულად გამოვიყენებთ,
რა თქმა უნდა, წარმატება გა-
ათქვამდება.

ქარხნის პარტიულ კონფე-
რენციაზე განსაკუთრებით გა-
მანვილდა ყურადღება პრო-
დუქციის ხარისხის გაუმჯობე-
სების საჭიროებაზე.

ხუთწლედის მეოთხე წელმა
დიდი გარდატეხა უნდა შეიტა-
ნოს მეტალურგთა ცნობრება-
ში. მით უფრო საპატიოა, რომ
წინა წლების ჩამორჩენის და-
ძლევა და ახალი მიჯნების და-
პყრობა უხდებოდა საბჭოთა
კავშირის უმაღლესი საბჭოს
არჩევნების პერიოდში. ეს გან-
საკუთრებით ბევრს ავალებს
გოდერძი ფანჩიძესა და მის
მეგობრებს.

როდესაც მარტენში თაო-
ბათა ცვლის ჯერი დადგა, სა-
ამქროს ტოვებდნენ პირველი
მეცეცხლურები, ის ადამიანე-
ბი, რუს და უკრაინელ მეტა-
ლურგებთან რომ ეზიარნენ
ამ რთულ და საპატიო საქმეს.
გოდერძი ფანჩიძე მეტა-
ლურგთა მეორე თაობის წარ-
მომადგენელია, ერთ-ერთი იმ-
ათგანი, ვინც იტვირთა სახე-
ლოვანი პირველი თაობის
გზის გაგრძელება.

მისი თანატოლი და მეგო-
ბარი, დღეს უკვე საქვეყნოდ
ცნობილი მეფოლადე ომარ
წითლიძე თავის აღმზრდელს,
ლენინის ორდენისან გრიგოლ
ბერეკაშვილს ფიცს რომ აძ-
ლევდა და ახალ თაოსნობას
უყრიდა საფუძველს, მის
გვერდით იღვა გოდერძი ფან-
ჩიძეც.

თაოსნობის დევიზი დღეს,
აბა, ვინ არ იცის, სანიმუშო

დისციპლინისათვის, წესრიგი-
სათვის ბრძოლა იქცა ჩვენი
ცხოვრების ქვაკუთხედად. ამ
თაოსნობას მაღალი შეფასება
მისცა საქართველოს კომპარ-
ტიის ცენტრალურმა კომიტეტ-
მა, პირადად ამხ. ე. ა. შვეარ-
დნაძემ.

ეს თაოსნობა დღესაც მოქ-
მედებს. მასში ხედავენ მეტა-
ლურგები სიძნელეთა დაძლე-
ვის წყაროს. იგი ავალებს თი-
თოეულ მუშაკს გვერდით
მდგომის მიმართ გამოიჩინოს
მეტი ყურადღება, მომთხოვე-
ლობა, პრინციპულობა, არ და-
უშვას უმიზეზო ვაცდინები,
შრომითი რესურსების დანა-
კარგები.

მეტალურგები დღესაც მრავ-
ალი სირთულის წინაშე დგა-
ნან. სხვა სიძნელეებთან ერ-
თად მუშახელის ნაკლებობაც
აწუხებთ. რატომღაც ახალგა-
ზრდობამ ზურგი აქცია ქარხა-
ნას. მებრძმედის, მეფოლადის,
მგლინავის სავაჟაკო საქმეს
თავს არიდებენ.

კოლექტივის ბედზე ზრუნ-
ვამ გოდერძი ფანჩიძეც ჩა-
აფიქრა. და მან ერთ-ერთმა
პირველმა გამოძებნა სწორი
გზა. ივალდებულა, უახლოეს
დროში წარმოებდას 4 ახალგა-
ზრდა მუშა აღუზარდოს. მშო-
ბლიურ რაიონში, საჩხერეში,
ჩავიდა. თავისი მეზობელი ბი-
ჭი გია ზამბახიძე შეაგულიანა.
გიამაც დაუჭერა, გოდერძიმ
ჭიათურიდან დისშვილი, ბუ-
ხუტი სამხარაძეც ჩამოიყვანა.
ცეცხლივით ბიჭია ბუხუტი,
თავის სახელოვანი ბიძის მხარ-
დამხარ შრომა საამაყოდ მია-
ჩნია.

შარშან კი თავისი უმცრო-
სი ვაჟიც გაიყოლა. ნუგზარმა
საშუალო სკოლა დაამთავრა
თუ არა, მამასთან წასვლა ის-
ურვა. უფროსი ვაჟი ინჟინერ-

რია, „კავკაზენერგომონტაჟის“
სამმართველოს რუსთავის უბ-
ანზე ოსტატად მუშაობს. მე-
უღლე, ციციო, მედიცინის
დაა, რუსთაველ მშრომელთა
ჯანმრთელობას დარაჯობს.

ყოველივე ეს პასუხია იმ
დიდი ყურადღებისა, რომელ-
საც იჩენენ რუსთაველი მეტა-
ლურგებისადმი საქართველოს
კომპარტიის ცენტრალური კო-
მიტეტი და რესპუბლიკის მთა-
ვრობა.

დასახულია ქარხნის რე-
კონსტრუქციისა და განვითარ-
ების პროგრამა, რასაც მოხ-
მარდება 800 მილიონი მანე-
თი. წელს ახალდაოჯახებულ-
თათვის აშენდება სამი ცხრა-
სართულიანი სახლი. სულ მა-
ლე დიდი სიახლეების მოწმე-
ნი ვასდებიან რუსთაველი
მშრომელები.

...მეფოლადეებმა სარკლე-
ბი დახურეს და ტემპერატურ-
ის რეგულირებას შეუდგნენ.
ახლა მთავარია ლუმელის თა-
ნაზრად, ზომიერად გახურება.
ამისათვის, ჩვეულებრივ, 30
წუთია საჭირო, მაგრამ რაკი
მეფოლადეებმა ჩატვირთვისას
მაღალი ტემპერატურა შეი-
ნარჩუნეს, საკმაო დრო მოი-
ბეს.

ნობა დასასრულს უახლოვ-
დებოდა. წყნარი დუღილის
პროცესი, ლითონის გაშვების
წინა პერიოდი, დიდ პრაქტი-
კულ გამოცდილებას მოითხოვს
მეფოლადისაგან. ასეთ დროს
ზოგჯერ გამოცილიც კი შეი-
ძლება შეცდეს — გახედავს
სარკმლიდან და ლითონი ოქ-

როსფრად ლივლივებს, ხელსა-
წყოც საჭირო ტემპერატურას
უჩვენებს, მაგტამი გაუმჯობეს-
და ცივი ნაღობზე მომონტაჟა.
ასეთი მარცხი გოდერძი ფან-
ჩიძისათვის უჩვეულოა.

ცვლა იწურება, ლუმელში
ლითონმა კვლავ გადაიკრა
მზის ელვარე ფერი. — გა-
უშვით! — დღეს მეორედ იძ-
ლევა განკარგულებას გოდერ-
ძი. ხელშემწყობები გია ზამ-
ბახიძე და ბუხუტი სამხარაძე
მარდად მიეშურებიან მეორე
მხრისაკენ და ძალაყინით
ხერხელს ჭრიან. მეფოლადეს
გული არ უთმენს და ისიც
მათთან მიდის, ეშველება, მი-
თითებას აძლევს თავის აღზრ-
დილებს.

კვლავ გადმოსჩქეფს თხევა-
ლი ლითონი, ნაპერწყლების
ფეიერვერკი ავსებს ჭერმალს
საამქროს. დღეს მეორედ ავსე-
ბენ ორას ტონიან ციცხვს გო-
დერძი ფანჩიძე და მისი ბრი-
გადის წევრები. ორი ნაღო-
ბის გამოშვება მოასწრეს, ორ-
ივე მძიმეწონიანია. წლის და-
საწყისიდან გეგმის გადამეტე-
ბით გამოშვებულ 500 ტონას
კიდევ ათობით ტონა ზეგემი-
თი პროდუქცია მიემატა.

ხვალ უფრო მეტის გაკეთე-
ბას ვარაუდობენ, რათა ხელ-
დამშვენებულნი შეხვდნენ საბ-
ჭოთა კავშირის უმაღლესი საბ-
ჭოს არჩევნების დღეს. დეპუ-
ტატობის კანდიდატის, მისი
მეგობრების საფექრალიც ხომ
პროდუქციის სიუხვისათვის,
ქვეყნის ძლიერების განმტკი-
ციებისათვის დაუცხრომელი
ზრუნვაა.



ქლოუს პატარაკალი

ზურაბ ნაყოფია,

„დროუის“ სპეციალური კორესპონდენტი.

ავტომანქანების ფარების შუქმა ერთბაშად გაანათა ორ-ღობეები და სოფელთან აგერ ორ ნაბიჯზე მოსული მთის ფერდობს შეასკდა.

ჯერ საყვირების გნისი გა-ისმა, მერე მაყრულმა ყრუან-ტელივით დაუარა დამეულ სო-ფელს.

ქორწილი იყო.

ავიძების თვალსაცერა პა-ტარძალი მოიყვანეს ქლოუე-ლებმა ოჩამჩირიდან.

როცა სქელნაწნავიანმა ქა-ლიშვილმა ეზოში მორცხვად შემოაბიჯა და წუთით თვალი მოავლო ელნათურებით განა-თებულ ეზო-კარს, სადაც მისი ბავშვების აკვანი უნდა და-წულყო, ბევრმა ჰაბუქმა გულში კეთილი შურით გა-ივლო:

— ყოჩაღ, ვალერა!

ვალერი ავიძა კი ამ დროს, აფხაზური წესისამებრ, ეზოს კუთხეში ჩრდილს ამოფარე-ბოდა და მაყრინის თავში მიმავალ გულისსწორს შუქჩამ-დგარი თვალებით გაჰყურებდა.

გაჰყურებდა იმას, ვისთანაც ერთად უნდა ევლო ცხოვ-რების გზაზე, ვისთან ერთადაც უნდა გაეზიარებინა მეზობ-ლების, სოფლის, ქვეყნის ღბი-ნიცა და ჰირიცა.

ასე განდა ლარისა ლაქერ-ბაია ქლოუს მკვიდრი.

აფთა ავიძა მდიდარი კაცი არასოდეს ყოფილა, მაგრამ კეთილი გულისა და კაცურ-კაცობის ნათელი მუდამ სვე-ტად ადგა მის ოჯახს.

ამ ოჯახში რამეზე მოსული მეზობელი ხელცარიელი უკან არ გამობრუნებულაო, მი-თხრეს ქლოუსში.

— კი მაგრამ, ხომ შეიძლე-ბა, ისეთი რამის სათხოვრად გადავიდეს მეზობელი, რაც არა გაქვს-მეთქი.

— არაო, — უღვაშებში ჩაიციანა აფთამ, ამ თითქოს ცალფადანაქსოვმა, მაგრამ ჯერ კიდევ ჩანდონით აღსავსე, სა-ოცრად მკვირცხლმა კაცმა. — გარედან უკეთ ჩანს, ვის რა ნოემქვებნება. ესეც არ იყოს, მექოთნესთან პურზე არ მიდი-ან და მეპურესთან ჩოთან-ზეო, — ღიმილით დაუმატა.

— დგამ-ავეჯითა და ფარჩა-ხალიჩით კი არა, ხელის მოსა-

მართავად მუდამ მზადყოფნის, თანდგომის სიკეთით სავსე ოჯახს სწორედ ასეთი რძალი შეჰფეროდაო. — მეუბნება ოჩამჩირის რაიონის სოფელ ქლოუს ნესტორ ლაქობას სა-ხელობის კოლმეურნეობის მთავარი აგრონომი ზოზე ბუთ-ბა. — ჩვენი ლარისაც ნამდვი-ლად სიკეთის განსახიერებია. ეს კი ყველაზე დიდი ღირსე-ბაა, განსაკუთრებით სოფელ-ში, სადაც ყველა ერთმანეთის ნაცნობია, სადაც სართულებ-სა და კედლებს არა ხარ ამო-ფარებული და თითქოს მუდამ სააშკარაოზე ხარ.

ლარისამ — მალე შეაყვარა სოფელს თავი, თუმცა უფრო სწორი იქნება თუ ვიტყვით, რომ სოფელმა შეიყვარა იგი, რადგან ლარისას წინასწარ გამიზნულად, თავის გამოსა-ჩენად არასოდეს არაფერი გა-უკეთებია.

სოფელს ვერ მოატყუებ, იგი მაშინვე მიგიხვდება, მად-ლი ნაძალადევია თუ გულიდან მოდის.

ზედიზედ ორი დამე უთია მეზობლის ბავშვს.

არა, ის არც ექიმი და არც ექთანი. — უბრალოდ გვერდში ედგა ავადმყოფის ღვდას, ადა-მიანი ხომ ადამიანის იმედია.

ღიას, იმედად ედგა.

კომკავშირული ორგანიზა-ციის კრებაზე ერთი პირტი-ტველა ჰაბუქის მკაცრად დას-ჯა მოითხოვეს და დამსახუ-რებულადაც.


ლარისა პირველი გამოე-ქიმაგა.

არა, გულჩვილი კეთილის-მყოფელის როლი არ გაუთა-მაშნია. სჯეროდა — სადაც რაღაცა თვითონ კომკავშირის ორგანიზაციამაც, თანატოლე-ბმაც დააკლეს ამ ბიჭს და რომ ამ „რაღაცის“ გაკეთება ჯერ კიდევ გვიან არ იყო, იგი სწორ გზაზე შემობრუნე-ბულიყო.

აკი შემობრუნდა კიდევ.

სხვა კიდევ ბევრი მაგალი-თის მოტანა შეიძლება, თუ როგორ უხმაუროდ თესდა სი-კეთის თესლს ეს ახალგაზრდა ქალი.

და მისი ამ სოფელში მო-სვლიდან ორი წელიც არ



ეროვნული
გოგლირთქა

იყო გასული, რომ ახალგა-ზრდებს შორის უკვე გაიგო-ნებდით: „აბა, ლარისას ვკი-თხით“. „ვნახოთ, ლარისას რას გვეტყვის“ „ლარისამ თუ იცის ამის შესახებ“.

ეს ყველაფერი კარგი იყო, მაგრამ...

მაგრამ მთავარი მაინც შრო-მაა, სოფელმა რომ ნამდვი-ლად დაგაფასოს.

ტყვარჩელში დაბადებული და ოჩამჩირეში გაზრდილი ქალიშვილისათვის მართლაც ძნელი იყო ჩაის კრეფაში თავი გამოეჩინა, მით უფრო ისეთ სოფელში, როგორიც ქლოუა — თავისი სახელგანთქმული მე-ჩაიეებითა და შესანიშნავი შრომითი ტრადიციებით.

შრომითი ტრადიციები კი მართლაც რომ მდიდარი აქვს ამ სოფელს. დღესაც ქლოუ-ელთა საფიცარია პირველი სტახანოველი აფხაზი მეჩაიე და სსრ კავშირის პირველი მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი უშა ახუბა. ლეგენ-დად ქცეული ქალიშვილი, რომლის სახელთანაცაა, ბევრ სხვასთან ერთად, დაკავშირე-ბული სოფლად სტახანოვე-რი მოძრაობის აზვირთება არა მარტო ქლოუსა და აფხა-ზეთში, არამედ მთელ საქარ-თველოშიც.

ქლოუელია სსრ კავშირის მერვე მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ელენა ახუბა. იგი დღესაც ტოლს არ უდებს ახალგაზრდებს.

ამ კოლმეურნეობაში შრო-მობს აფხაზეთში ერთ-ერთი ყველაზე ხელშეწყობილი მეჩაიე, პარტიის ოჩამჩირის რაიკომის ბიუროს წევრი რაისა ჭოლო-კუა, ქლოუელ მეჩაიეთა ტრა-დიციის შესანიშნავი გამგრძე-

ლებელი და გამამდიდრებელი. და კიდევ...

ღიმილით, ერთნაირი სიყვარულით ასახელებს ლარისა თავის თანამოსაქმეებს — უფროსებს, თანატოლებსა და უმცროსებსაც — სოციალის-ტური შრომის გმირებს მაგ-ლონია ამიხბასა და გუგული ქუთელიას, მოწინავე მე-ჩაიეებს: გული და ზოია ავიძ-ბებს, მიაა წვიყბასა და სხვებს.

ამ თანავარსკვლავედში შენი ადგილი მიიჩინო, თანაც სადაც კუთხე-კუნჭულში კი არა, მოწინავეთა რიგებში, დამეთანხმებით, იოლი რო-ღია.


და ლარისა ლაქერბაიამ და-იმკვიდრა ეს ადგილი.

მაგრამ ვიმეორებ, მას ქლოუს ჩაის პლანტაციებში სახელგანთქმულ მეჩაიეთა გვერდით კრეფა იმ მიზნით არ დაუწყია, რომ მაინცდა-მაინც ერთ-ერთი პირველი გამხდარიყო.

არა, იგი გულით შეუდგა საქმეს, გულით, როგორც ეს სჩვეოდათ და სჩვევიათ ბეგი ლაქერბაიას ოჯახში და ალ-ალ, საზრიან, მუყაით შრომას ყოველთვის მოაქვს თავისი შე-დეგი.

არის ერთი დიდი ნაკლი ადამიანისა, სამწუხაროდ, არც ისე ცოტას რომ სჩვევია — ქედმაღლობა. ასეთებს თავის დამცირებლად მიაჩნიათ. სხვას დაეკითხონ, რჩევა ითხოვონ.

სწორედ ასეთებზეა ნათ-ქვამი: თვითონ არ გცოდნო-დეს და სხვისთვის არ მოგეს-მინოსო. ამ ნაკლისაგან თუ ვინმეა შორს ამქვეყნად, ეს ლარისა ლაქერბაია განლავეთ. მაშინ კი არა, როცა ახალ-



ბედა მეჩაიე იყო, არამედ ახლაც, როცა უკვე თვითონ გახდა დამრიგებელი, მზად არის, მივიდეს ელენე ახუბასთან თუ რაისა ჭოლოკუასთან, ეთათბიროს, რჩევა სთხოვოს.

და ეს სოფლის თვალში, საკუთარ თვალშიც კი არ ამცირებს მას, პირიქით, ამალღებს, უფრო მეტ სახელს უხვევს.

წელან სიტყვა „დამრიგებელი“ ვიხმარე.

დიახ, ლარისა ლაკერბაია უკვე დამრიგებელია, მისგან სწავლობენ ხელნეგვიანი კრეფის „საიდუმლოს“ ქალიშვილები, საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ ლარისას მაგალითისამებრ რომ რჩებიან კოლმეურნეობაში.

„უკვე“ იმიტომ, რომ ლარისა, ჯერ მხოლოდ 23 წლისაა.

დიახ, 23 წლის. და სწორედ ეს არის შრომითი და ადამიანური გმირობაც, რომ მიუხედავად ასეთი ახალგაზრდული ასაკისა, იმდენი მოასწრო, შენმა თანასოფლელებმა, თანამოსაქმე-

ებმა, უფროსებმაც და უმცროსებმაც ყოველგვარი ყოყმანის გარეშე ერთსულოვნად დაგასახელონ ჩვენი ქვეყნის ხელისუფლების უმაღლეს ორგანოში — სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოში.

ის დღე მართლაც რომ დაუვიწყარია ლარისა ლაკერბაიასთვის.

— ეს რომ გაიგე, პირველად რა გრძნობა დაგეუფლამეთქი, — ვკითხე.

— აბა რა ვიცი, — გაიცინა, მერე მართლაც გულწრფელად დაუმატა: — იმდენად მოულოდნელი იყო ჩემთვის, რომ თითქოს ახლაც არ მჯერაო.

წინასაარჩევნო კრებაზე ნესტორ ლაკობას სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ივანე ლოგუამ დეპუტატობის კანდიდატად ლარისა ლაკერბაია როცა დაასახელა და მის კაიქალობაზე ილაპარაკა, ყველა დამსწრეს სახეზე ატყობდა, რომ მათს გულისნადებს იმეორებდა.

ბევრი დაფასებას ძალით მოითხოვს.

ლარისას კი ადრე არც

უფიქრია ამაზე და არც ეგონა, რომ ასეთი დიდი სიყვარულითა და ავტორიტეტით სარგებლობდა თანასოფლელებში, მთელს რაიონში: აკი კლოუელთა წინადადებას აფხაზეთის ასს რესპუბლიკისაგან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად № 490 ოჩამჩირის სასოფლო საარჩევნო ოლქში ლარისა ლაკერბაიას დასახელების შესახებ მხარი დაუჭირეს ამავე რაიონის მოქვის მეჩაიეობის საბჭოთა მეურნეობისა და კოჩარის ჩაის ფაბრიკის შრომითმა კოლექტივებმა, რომლებისთვისაც კარგადაა ცნობილი მისი სასახლო საქმეები.

ლარისას ყოველთვის ახსოვს მამის ნათქვამი — საკუთარ თავს სხვისი თვალეზით უნდა უყუროო. სხვას არაფერი გამოეპარება — არც ნაკლი და არც ღირსება.

ლარისაც სხვისი თვალთა აფასებდა თავის ნამუშევარს, თავის მონაწილეობას საზო-

გადობრივ ცხოვრებაში. ახლა კი მით უფრო საჭიროებს, როცა ხალხს — თანასოფლელებს რჩეული გახდა.

ლარისა უკვე გრძნობს, უფრო სწორად, დეპუტატობის კანდიდატად დასახელების დღიდან გრძნობს, თუ რა დიდი პასუხისმგებლობა და აკისრეს მშრომელებმა, რა მძიმე ტვირთი იტვირთა.

მაგრამ სიძნელეებს არასოდეს შეუშინებია და მით უფრო ახლა, როცა მთელი სოფელი, მთელი კოლმეურნეობა, რაიონი მხარში უდგას, როცა მის სიტყვას, მის აზრს მეტი წონა და ფასი აქვს, როცა ქვეყნის უმაღლესი ხელისუფლების ორგანოს სრულუფლებიანი წარმომადგენელია.

ლარისა ლაკერბაია მზად არის თავისი სიტყვა, თავისი აზრი, შრომა, მთელი თავისი ძალ-ღონე უკლებლივ მოახმაროს მშობლიურ სოფელს, რაიონს, მშობელ ხალხსა და ქვეყანას.



თანასოფლელები ლ. ლაკერბაიას ულოცავენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დასახელებას.



ეროვნული
თეატრი

სურათები

ამიერკავკასიის სიმღერისა და ცეკვის ყირიმის ფრონტის წითელდროშოვანი სამხედრო ანსამბლი (სამხატვრო ხელმძღვანელი — ევგენი გორკუნოვი, სამხატვრო ხელმძღვანელის მოადგილე — შალვა თაქთაქიშვილი).

ალექსანდრე ეპუტია

(ნამდვილი ამაზიკი)

საქართველოს ტელევიზიაში მიმდინარეობდა სიმღერისა და ცეკვის ანსამბლ „ჩელას“ ჩაწერა.

საერთო საქმიანი ფუნქციონისა და მღელვარების დროს მხოლოდ ერთი გამხდარი, ოქროსფერსათვლიანი კაცი მისცემოდა ღრმა ფიქრს. ის ამ მღვდლობობიდან გამოდიოდა მხოლოდ მაშინ, როცა ბოჩია (ალექსანდრე) ძიძიგური იწყებდა რომელიმე სიმღერას.

— გეტყობათ, ძალიან მოგწონთ ძიძიგური... — ჩამოვადგე სიტყვა სიმღერასა და სიმღერას შორის გამეფებულ სიჩუმეში. სათქმელი დამთავრებული არ მქონდა, რომ გამხდარმა კაცმა თავისი სახელი და გვარი შემომთავაზა:

— შოთა თაბუკაშვილი — რადიოკომიტეტის მუსიკალურ გადაცემათა რედაქტორი.

— სასიამოვნოა! — მივუგე მე.

— ერთად ვმღეროდით ამიერკავკასიის სამხედრო ანსამბლში. დირიჟორები მეტსახელად ბულბულს ეძახდნენ. ხელისგულზე ჰყავდათ. ბოჩიასაც ფრთები სულ ასაფრენად ჰქონდა მზად... რა ხმა ჰქონდა!

— რას ჰქვია, ჰქონდა. ახლაც ტოლს არავის უდებს... რესპუბლიკური და საკავშირო ფესტივალების ლაურეატი...

— ეეჰ, ომის დროს, ზედგერმანელების ცხვირწინ კონცერტი გაგვიმართავს და ბოჩიას ხმით მოხიბლულ ჯარისკაცებს. საჩუქრებით ავუვსი-

ვართ... ძვირფას საჩუქრებად ითვლებოდა ტყავივით მაგარ ქალღმერთს გახვეული „მანორკა“, ნივრით გაპოხილი შავი პური...

რომელ ლაურეატობაზე ნაკლები იყო ასეთი აღიარება! ხმა შერებოდა ყველაფერ ამას, დიდებული, ღმერთების მოსასმენი ხმა...

ქერჩთან, ზედ ფრონტის ხაზზე, დაგვინიშნეს კონცერტი. ის ადგილი, სადაც ახლა ჩვენი 120-კაციანი ანსამბლი კონცერტს მართავდა, ხელიდან ხელში გადადიოდა. მზე აცხუნებდა. წელში გაწყვეტილი პატარა მდინარე ძლივს ასვლებდა იოლად მოსასროლ თეთრ-ყვითელ ქვებს. ბოჩია მღეროდა „ბულბულებს“, აკომპანიმენტს უკეთებდნენ ჩვენი დიდებული რუსული ხალხური საკრავები.

...ფრონტის ხაზმა საოცარი, სამარისებური სიჩუმე იცის, გაგაყრუოლებს და გულს გაგიყინავს, მაგრამ ბოჩიას სალაშქროს ყელმა ეს სიჩუმე მოირგო და შალვა იცა, რომელიც სულ მალე ყუმბარების წვიმად უნდა ჩამოქცეულიყო, შეაკავა, გაამაგრა და სიმღერის წკრილა სვეტი შეუყენა. ამ სვეტიცხოველის თავზე მზე ხოხობივით ჩამოაჯდა... და ამ დროს კონცერტების ისტორიაში მოხდა უჩვეულო რამ: დირიჟორმა ევგენი გორკუნოვმა ორკესტრი ნელ-ნელა „დააძინა...“

ალექსანდრე ძიძიგური უცებ დაიბნა, ორკესტრის წევრებმაც ერთმანეთს გადახედეს. დირი-

ჯორი ციკქნა ჯოხით აჩვენებდა მავთულხლართებით შემოღობილ „ბარაკს“ და სოლისტის ყურადღებას მიაქცევდა იქიდან მომავალ აკომპანიმენტის ხმას: გერმანელმა სამხედრო ტყვემ „ბარაკიდან“ პირის გარმონი ააყოლა მის სიმღერას, დირიჟორმა დააბალანსა სოლისტისა და ტყვე აკომპანიატორის მუსიკალური უღელი და ომის ღმერთის გასაწილებლად, რუსული სულით დამბალი სიმღერა კბილებამდე შეიარაღებულ აუდიტორიას, მოსისხლე მტრების საბჭოთა ჯარისკაცისა და ტყვე გერმანელის შესრულებით მოასმენინა.

ურუანტელისა და ცრემლის გასაღები ჰქონდა ამ კონცერტს...

კონცერტი არ იყო დამთავრებული, რომ ქერჩის ცა გერმანელების ბომბდამშენებმა დაფარეს. ყუმბარები ცვიოდა წვილით, თავისრის მტვრევით... ყოველ ათ მეტრ მიწის ფართობზე გათვალისწინებული იყო ერთი ყუმბარა. გერმანელები გიგანტურ ორმოს ამზადებდნენ და ამას აკეთებდნენ არიული აკურატულობით.

ჩვენები უკან იხევდნენ.

ზღვის ნაპირი აივსო ტექნიკით, ცოცხალი ძალებით, სანიტარული ნაწილებით...

გადასაცური იყო ოთხი კილომეტრის სიგანის ყელი. ნაყარი ფუტკარივით ყველაფერი ერთმანეთს გადაუბა და შე-

იკრა უწესრიგოდ მოძრავი ხილი.

— ნავტიკებსა და ნავეზზე მხოლოდ დაჭრილები! — გაისმა ბრძანება.

ნაპირი ნელ-ნელა თავისუფლდებოდა. ვინც „მესერშიტების“ ტყვეების სეტყვას გადაურჩა, ზღვის ყელს მიანდო თავი. ვინც კი წყლის ძალას ვერ გაუმკლავდა, შავი ზღვა სამუდამო საფლავად ექცა. ასე გაიჭრა ტალღებში ანსამბლის უნიჭიერესი აკორდეონისტი ბორის-ბახი თავისი ძვირფასი ინსტრუმენტით, რომელსაც თავიდან არასოდეს იშორებდა; მეორე ნაპირს გააღწია, მაგრამ სავესებით დაყრუვდა ამ ანსამბლის წამყვანი სოლისტი, თბილისის საოპერო თეატრის დრამატული ტენორი ვასო სანაძე... ამიერკავკასიის სამხედრო ანსამბლიდან იმ საბედისწერო დღეს ცოტანილა გადარჩნენ ჩვენი ქვეყნის უნიჭიერესი მუსიკოსები, მათ შორის უნდა აღინიშნოს ცნობილი ქართველი დირიჟორი ჯემალ გოკიელი, ზუმდიდის მუსიკალური ტექნიკუმის ყოფილი დირექტორი აპოლონ დოჭვირი, ანსამბლის სამხატვრო ხელმძღვანელი ევგენი გორკუნოვი (ამჟამად ქ. გორის გლინკას სახელობის კონსერვატორიის საგუნდო-სადირიჟორო განყოფილების უფროსი) და... ალექსანდრე ძიძიგური.

ჩემმა თანამოსაუბრემ ძირს ჩამოკურებული სათვალვე საჩვენებელი თითით შუბლისაკენ გადაწვია და მოგონებას მიეცა.

საქანაა ყვავილი უსახური...

— სალამო მშვიდობისა, ძია კაცო!
მოხუცი შეკრთა, ჩემსკენ შემობრუნდა და გაცხებით ამომხედა. მუხის ტოტებში ჩამოპარულ მზის სხივს ცალი თვალი მოუჭუტა, პირი ოდნავ დააფხინა და ერთადერთი ობოლი კბილი გამოაჩინა.

— გავიმარჯოს! — ისეთი რიხით მითხრა, ანაზღველად რომ შეკრთება ადამიანი და ცდილობს შიშის დაფარვას.

იქაურობას მოვატარე თვალი. შამბს გადაევლო სასაფლაოზე.

აქ ოდესღაც დიდი, ძველისძველი ეკლესია ყოფილა. აქ განისმორდა ციურ დასთა გალობის ზარი და დაუსრულებელ ჟამთარბოლაში, სიცოცხლისა და სიკვდილის ჭიდილში მიედინებოდა ცხოვრება, ჯვარს იწერდნენ წყვილები, ეზიარებოდნენ სიყვარულს, რომ შთამომავლობა არ გადაშენებულყო.

პატარა ნანგრევილა დარჩა იმ ეკლესიიდან, ჩაქამებული, პირქუში და სევდიანი, მის შემხედვარეს მუდამ ისე მეჩვენება, თითქოს ოდესღაც მეტყველი ეს ძველი დიდების ნაშთი სამუდამოდ ტანჯვით დაღუბებულია. არ ვიცი, ეს ეკლესია ჯამთა დინებამ დაანგრია თუ ადამიანებმა, მაგრამ ერთი რამ კი ნათელია, დანგრევას მუდამ ნაკლები ჭკუა სჭირდება, ვიდრე ახლის ისე გადაკეთებას, რომ არ დაინგრეს ის, რაც გვქონდა.

სოფელიც დიდი ყოფილა. ამ სოფლიდან საუკუნოდ განსვენებულებს ეს სასაფლაო აძლევდა სამუდამო თავშესაფარს. დრო გავიდა, ხალხი ქალაქებმა მიიზიდა და სოფელიც დაპატარავდა.

რა სწრაფად და ზედიზედ ქრება ჩვენი სოფლების მშობლიური კერები, საწყისი ყოველივესი. დრო გვედევნის მშობლიური სოფლებიდან და მხოლოდ სიბერის ჟამსღა, — როცა სხვა მხარეებში მოვიწყენთ ყიას და საუკუნის ხმაურითა და მღელვარე ვენებებით გაილევა ძარღვები, — გვიზიდავს მშობლიური კერა, გვიპყრობს მძაფრი წყურვილი, დათენთილი სული სიმყუდროვეში მო-

ვასვენოთ და კვლავ დავუბრუნდეთ ძველს...

სოფელიც დაპატარავდა და სასაფლაოც. უჭირისუფლოდ დარჩენილი საფლავის ქვებიც თანდათან უჩინარდებიან, მიწაში ყელყელაობენ და ნელნელა იძირებიან.

მზე ცის ტატნობზე დახრილიყო. ნიავს ახლადმოთიბული ავშანის მძაფრი სუნი მოჰქონდა. მოხუცს სასაფლაოს შესამედი უკვე მოეთიბა, ახლა იჯდა საფლავის ქვაზე და საღესავეთ ცელს პირს უწყობდა. ცალკე ფოთლების შრიალსა და ცალკე საღესავის ხმაში ისე წავადექი, ფეხის ხმა ვერ გაიგო.

— კეთილ საქმეს აკეთებ, ძია კაცო, მაღლიანს, თორემ აქაურობა აღარ ინახვება, — ვუთხარი ბერიკაცს და მეორე, მოპირდაპირე ქვაზე ჩამოვკეჭი.

ახლლა ვიცანი, ჭიოტა იყო. ნამდვილად რას ეძახდნენ, არ ვიცოდი.

ჩემს ბავშვობაში მრისხანე კაცის სახელი ჰქონდა გავარდნილი. კოლმეურნეობის პურის ყანები და ხეხილის ბაღები ებარა. დიდსა თუ პატარას ჭიოტას სახელი ეკერა პირზე. ყველას იმისი ეშინოდა. მაშინ ისე მეგონა, დიდი, ახოვანი ვაჟაკი იყო. ახლა, როცა ამ ჩია ტანის მოხუცს ვუყურებდი, მიკვირდა, ყველას როგორ ეშინოდა ჭიოტასი.

ცული გვერდზე გადადო, სალესავი მოხლებშუა ორივე ხელში მოიქცია და დამაკვირდა. ნაოქებად ქცეული ვიწრო შუბლი ჰქონდა, წვრილ ბებრულ თვალებში მისი ასაკისთვის უჩვეულო სიმკვირცხლე შეიმჩნეოდა, უფრო მეტიც, მეჩვენებოდა, რომ რაღაც ჭინკები უთამაშებდა.

ისევ ცნობისმოყვარედ მიყურებდა და თვალებში გამჭირდავი ღიმილი უკიაფებდა.

— მაშ რა ვქნა, ძმისწულო, სოფელში ბებრებილა დავრჩით. ერთი-ორი ჩველი დაკინკილებს და ისინიც საამისოდ ვერ იცლიან, — მოხუცი ისევ დაკინკიებით მიყურებდა, ეტყობოდა, ერთი სული ჰქონდა, დროზე გაეგო ჩემი ვინაობა და სადაურობა.

ქალის პირას, სასაფლაო-

დან, რაღაც ას ნაბიჯზე, ოციოდე სული ცხვარი სძოვდა. ქალის იქით კი, გორებში, სიგრძივ შეჭრილი ჩემი სოფელი მოჩანდა, სადაც დღეს ნასახლარები და მიტოვებული სახლები უფრო სჭარბობდა. მთელი წელი მოლოდინით თვლემენ მიტოვებული სახლები და მხოლოდ ზაფხულში, როცა ქალაქს სიციხე გათანგავს, ახმაურდება ეზოები. წინასწარ ამოვლენ აქედან ლტოლვილი დედაქალაქის ხიზნები, მოსცელავენ შამბს, გაასუფთავენ ეზოებს და ამორეკავენ სიციხისგან შეღონებულსა და უმადობით მიკნავებულ ბავშვებს, ცოტანით აურიაშულდება ეზოები, ძარღვებში სისხლს აიჩქევენ სოფელი და მერე ისევ მიწყნარდება, ისევ მიწყნარდება, როცა ფერმოსული, გაკაქებული ბავშვები დიდ, აურზაურთან ქალაქს დაუბრუნდებიან, მეც იმიტომ ამოვედი დღეს, რომ შამბით დაფარული მამისეული ეზო გავწმინდო და ორ-სამ დღეში ცოლ-შვილი ამოვრეკო.

— ეს ცხვარი ვისია, ძია კაცო?

— ჩემები არიან.

— ყველა?

— ყველა. ადრე უფრო ბევრი მყავდა, მაგრამ ვეღარ შევძელი, მივყიდი-მოვყიდე, ან ამათ რა თავში ვიხლს, მაგრამ შვილები ქალაქში არიან, სჭირდებათ, — ჭიოტა შეჩერდა, ისევ დამაკვირდა თავისი ბებრული, მაგრამ ანცი თვალებით და უცებ მკითხა, — მაინც ვინა ხარ და სადაური ხარ, ძმისწულო?

— აქაური ვარ, — ძია, ძირბითელი.

— ძირბითელი? ვისი ხარ, რატო არ ვიცნობ?

— გიორგისა ვარ, გაბიდაურისა.

ჭიოტა შეტოკდა, წელში გასწორდა და თვალები სიხარულით გაუბრწყინდა.

— გიორგას შვილი ხარ შენა, მაშ, გიორგასი ხარ? განა არა, ჰგეხარ, ძალიან ჰგეხარ. ჰაი დედასა, გიორგავ, რა ღვთისნიერი ვაჟაკი იყავ... ქალაქიდან მოდიხარ?

— ქალაქიდან მოვიდვარ.

— მერე, ფეხით მოხვედი?

— ამხანაგმა ამომიყვანა მა-

ნქანით, მაგრამ ნაშეში ვეღარ გამოვედი, ტალახი იყო.

— ჰოო, მანდა სუ ტალახია, რა ვიცი, გვპირდებიან, გზას გააკეთებთო და ვეღარ კი გააკეთეს. ან ვისთვის უნდა გააკეთონ, სოფელში აღარავინ ჩერდებათ! — ჭიოტამ თვალეზე ხელი მიიჩრდილა და ქალისკენ გაიხედა.

— ი დედაკაცი აღარ ჩანს, კაცო, სამხარი უნდა ამოეტანა, ნამგზავრი კაცი ხარ, თითო ჭიქა ჩვენებური ეპიტაური მოგვიხდებოდა, მამაშენის შესანდობარს დავლევდი. ჰაი დედასა, რა დროს იმის სიკვდილი იყო, მაგრამ დედაკაცის დარღმა გადაიყოლა, მარტოობამ მოულო ბოლო. ჩემზე ათი წლით იყო პატარა, მაშ!

ჭიოტამ რა იცოდა თორემ, მერჩია, ის ცელი შემოეკრა ჩემთვის, ვიდრე ეს სიტყვა ეთქვა. ზედ იარაზე დამაჭირა ფეხი.

როცა მამაჩემის ასაკს მივუახლოვდი, მაშინდა მივხვდი, რა დიდი ბრალი მიმიძლოდა იმის სიკვდილში. ამაზე ფიქრი სიცოცხლეს მიმწარებდა და სულს მიშხამავდა.

ჭიოტას სიტყვამ ისევ გამისხნა ეს მძიმე, ფარული იარა და გუნება ერთბაშად წამიხდა. ერთი სული მქონდა, დროზე გავცლოდი ამ ბერიკაცს, რომ კიდევ არაფერი ეთქვა.

— კარგად იყავი, ბიძაჩემო, — ცივად მივუბღე და წამოვდექი.

ჭიოტაც შემოფოთებული წამოღდა.

— რა გეწყინა, ძმისწულო, მოიცა, ჩემი დედაკაცი ამოვა სადაცაა და თითო ჭიქა დავლიოთ, — მერე ისევ ქალისკენ გაიხედა და გაბრაზებულმა დაიძახა, — მზექლოო! ჰაი, მზექლოო!

აღარაფერი ვუბასუხე, ბილიკზე დავეშვი ქალისკენ, ჭიოტა კი მემუდარებოდა:

— სირცხვილია, ძმისწულო, ეგრე არ შეიძლება.

შემენანა ბერიკაცი და ვუთხარი, იქაურობას ჩავხედავ და იქნება ისევ ამოვიდე-მეთქი.

— არ მომატყუო, ძმისწუ-



მხატვარი თენგიზ სამსონაძე.

ლო, უშენოდ არ ვისამხრებ. დედაკაცი სადაცაა, ამოვა.

ჭიოტა მიბრუნდა და ცელი აიღო. ერთხანს მესმოდა, როგორ უხუოდა ბერიკაცის მოქნეული ცელი და მერე ის ხმაც მიწყდა. გრილი ნიავი უბერავდა და გუნებამოშხამულს სალბუნად მედებოდა, ჰორიზონტზე აქა-იქ ჩანდა დრუბლის ქულები, ცივები, ნაღვლიანები, უპირავად ვეკიდნენ ცაზე და თითქოს რაღაც უიმედოდ დაჰყურებდნენ მდუმარებაში ჩაფლულ აქაურობას. ჰალიდან წიწკანების სვედიანი ჟღერტული ისმოდა. უპირესად მომაწვა ნაღველი, თვალწინ დამიდგა ის დღე, როცა უკანასკნელად ვნახე მამაჩემი, შიშისგან წახდენილი, უღონო და უსასოო.

მე უნდა ვზიდო მამაჩემის ცოლი და მალღიერი ვიქნები განგებისა, თუ სანაცვლოს მომაგებს ოდესმე.

მივდიოდი მამაპაპულ კერაზე და თავს ვეღარ ვაღწევდი მოგონებას.

...ნაბოლარა ვიყავ, სამი გოგოს შემდეგ ნანატრი ბიჭი, ჩემი სტუდენტობის დროს სა-

მივე და ქალაქში იყო ვათხოვილი და დაბინავებული.

ლალი სტუდენტობა მქონდა. უქმე დღეებში ავიყოლიებდი ძმაკაცებს და სოფელში ავრეკავდი. სამი მეწველი ძროხა გვყავდა, ათიოდე სული ცხვარი, ქათამი — უთვალავი, ფუნინასავით იყო ვაშლილი ეზოში. გვარიანად რომ შევთვრებოდი, გამოვიტანდი თოფს და ქათმებზე ვნადირობდი ეზოში. ღიმილით მოძიანლოვებოდა დედაჩემი, მხარზე ხელს დამადებდა და თითქმის ჩურჩულით მეტყვოდა:

— ქათამს პატრონი მოუკვდეს, შენ არაფერი ივნო, შვილო, თოფი ხეფათიანია.

დედაჩემმა ჩუმი, მოკრძალებული, მაგრამ დიდი სიყვარული იცოდა. ათი წლის უნახავი რომ ვყოლოდი, კოცნას ვერ ვამიბედავდა, არადა, იმისთანა თვალეზით მიყურებდა, თითქოს უკვე გულში ვყავდი ჩახუტებული და მკაცრი და, მკოცნიდა.

ბოლო დროს გულს იტყვიებდა, ექიმთან წასასვლელად ვერ იცლიდა, ჩემს დებს კი

ვითომ რიგრიგობით მიჰყავდათ პროფესორებთან და „ვერ ახერხებდნენ“.

უცნაური სიკვდილით მოკვდა დედაჩემი. თონე გაუხურებია, ცოში მოუხელია და დაღლილი ცოტახანს მიწოლილა, დაუსვენია. ცომა გადაფუცდა, თონე განელდა, დედაჩემი კი არა დგება თურმე, მისულა მამაჩემი, აღვიძებს... ვეღარ ვააღვიძა, საუკუნო ძილში იყო და ვეღარ ვააღვიძა.

მე მაშინ მეზობელ სოფელში ვქეიფობდი ორი დღე ვადაბმული. მეგობრებმა მომაგნეს და წამიყვანეს, დედა ცუდად არისო. ეზოში შეყრილი ბალხი... აიგნის ბოძს მიყუდებული ცოცხალ-მკვდარი მამაჩემი და... ყველაფერი ნათელი იყო, დედა აღარ მყავდა.

ალაპზეც და ალაპის შემდეგაც ჩემი დები იმედის კოშკებს უგებდნენ მამაჩემს. არ იდარდო, ერთი წუთით ყურადღებას არ მოგაკლებოთო. პირველ ორ თვეს მართლაც ადიოდნენ ჩემი დები, მხარში ედგნენ, მერე თანდათან უკლებს

იქ ასვლას და ბოლოს მთლად ამოიკვეთეს ფეხი. ერთი წლის შემდეგ ინსტიტუტი დაეამთავრე, დონეცკში გამაგზავნეს სამუშაოდ, სოფელში ავედი, რომ წასვლის წინ მამაც მენახა და ცოტა ფულიც გამომერთმია სამგზავროდ.

— შეილო, — მითხრა მამაჩემმა, როცა ვაიგო რუსეთში მივდიოდი, — ხათრი გამიწიე, ვიდრე წახვალ, ცოლი მოიყვანე, აქაურობას მიხედოს თორემ მე ვეღარ ავუღივარ, ვავიტანჯე კაცი.

მამაჩემის ნათქვამზე გამეცინა.

— სასაცილო რა არის, შეილო! — ეწყინა მამაჩემს.

— მე რუსეთში მივდივარ და ცოლი აქ დავტოვო?! მამამ მწარე სიცილი დამიბრუნა.

— ომში კი არ მიდისარ, ვირგლავ (მოფერებით მეტყვოდა ხოლმე ამ სიტყვას), სამუშაოდ ვაგზავნიან და თანაც ერთი წლით.

უარის ნიშნად თავი ჯიუტად გავექნიე. კრინტი არ დაუძრავს, თითქოს თავის ნიჟარაში შეიძვრა და დადუმდა, დადუმდა.

რამდენიმე თვის შემდეგ ჩამოვედი რუსეთიდან და თბილისში დავეიწყე მუშაობა, მაშამ კიდევ გამიმეორა:

— ეხლა ხო თბილისში მუშაობ, მოიყვანე ცოლი. გაიგე, უქალოდ ოჯახი უქულმა მიდის.

მართლაც უქულმა მიდიოდა ოჯახი, ეზოში რამდენიმე ქათამილა დაკინკილებდა, ეგ იყო და ეგ. აღარც ძროხები გვყავდა. აღარც ცხვრები. ჩვენი მურა ძაღლიც დაბერებულიყო, გულგრილი გამჩდა-რიყო, ძველებური ხალისით აღარ მეგებებოდა, თვითონ მამაჩემი ისე იყო მოტეხილი და შეცვლილი, ცნობაც კი გამიჭირდა.

ორიოდე თვის შემდეგ სამთვიან შეკრებაზე გამიწვიეს ჯარში. ლენინაკანში მგზავნიდნენ. ისევე ავედი სოფელში მამაჩემის სანახავად და სახარჯო ფულის წამოსაღებად, ზამთრის პირი იყო, დღე-დღეზე თოვლს ჩამოჰყრიდა. კარგა გვარიანად ციოდა. მამას უშუა უკვე მოემარაგებინა ზამთრისთვის, დაბერხილი და დაპობილი აივნის ქვეშ დაეხროვებინა. უქმური, პირქუში საღამო იყო. სევდიან ძილს მისცემოდნენ გაძარკული ხეები. სიცივისაგან ბალახი გადახრუკულიყო და მთელ ეზო-ყურეს უსასოო იერი მისცემოდა.

იმ დღეს რალაც უჩვეულოდ იქცეოდა მამაჩემი. გვერდიდან არა მცილდებოდა, უკან დამდეგდა. მეუცნაურა იმისი საქციელი. ასეთი რამ არა სჩვეოდა ამ უდრეკ ვაჟიკს. როცა გაიგო, სამთვიანში მივდიოდი, სიცილი აუტყდა:

— ჯერაც არსად წასულხარ. ეხ, — აგორებული ქვა ხაფხის ვერ მოიკიდებს, — ჩაფიქრდა, შევატყვე, რალაც უნდა ითქვას და ჭოჭმანობდა, ბოლოს მაინც ამოვიყევა, — ბოლობოლო აპირებ თუ არა ცოლის მოყვანას?

— არა. — ცივად მოეუტყერო, რადგან მივხვდი, რალაცით მივხვდი, რომ ეს არ იყო მისი მთავარი სათქმელი.

— მაშინ, შეილო, თუ არ გეწყინება, მე მოვიყვან.

ვიფიქრე, ყურმა მომატყუამეთქი.

— რაო, რაო? თვალი ვეღარ გამისწორა, გვერდზე გაიხედა და ისევ ვამიმეორა.

— მარტოობა აღარ შემიძლია. დარდი მჭამს. ესე მგონია, უდაბნოში ვიყო და გვერდით კაციშვილი არა ჭაჭანებდეს... ვიცი, მალე გადაამიტანს ეს სიმარტოვე.

სისხლი ამივარდა თავში და

თვალთ დამიბნელდა. — დედაჩემის ადგილას რომ აქ ვინმე დაეინახო, იცოდე, იმასაც მოვკვავ და შენც შედ მიგაყოლო, — უკვე აღარ ვიცოდი, რას ვამბობდი, — გესმის? მე ვერ ავიტან, აქ სხვა ქალი ტრიალებდეს!

მაშინ ჩემი თავი ცამდე მართალი მეგონა. ვითომ დედაჩემის ხსოვნას ვცემდი პატივს და ის აღარ ვიცოდი, ცოცხალს რომ სიცოცხლეს ვუსწრავდები.

მომეჩვენა, უფრო სწორად კი არ მომეჩვენა, ნათლად დავინახე, ეს ახოვანი კაცი როგორ დაპატარავდა, როგორ დაჩიავდა. უჩუმრად გაბრუნდა, ტანტით სალაფავი აიღო და სახლის უკან, საღორეში, წაიღო.

ისე დაღამდა, ერთმანეთისთვის სიტყვა არ გვითქვამს, ჩემს გვერდით ტრიალებდა, მაგრამ არაფერს მეუბნებოდა. გამახსენდა, წინა დღეებში ჩემი დები რალაცაზე ცხარობდნენ. მე რომ მივედი, გაჩუმდნენ. ვკითხე, ვინ გაგაბრახათ-მეთქი და, არაფერო. აღარ ჩავცივებოვარ. ახალა მივხვდი, რათ გაჩუმდნენ. ეტყობა, მამაჩემმა ჯერ იმათ ვაანდო თავისი ზეპირადი, იმათ ცივი უარი სტკიცეს და ახლა ერთი იმედი მელა ვიყავი, ეგონა, მე მაინც ვაგუგებდი, როგორც მამაკაცი, მე კი მთლად გადაუწყურე წყალი.

ლამე ჩემს ოთახში შევედი დასაძინებლად, ხუთი წუთი არ გასულა, მაშამ თავისი ლოგინი ჩემთან შემოიტანა. ამ ამბავმა უარესად გამაოცა. ის ხომ ყოველთვის თავის ოთახში წვეებოდა ხოლმე.

— რათ გამოხვედი აქ, შენს ოთახში რატომ არ დაწვი?

— არ ვიცი, შეილო, რა მემართება. შიში დამჩემდა ბოლო დროს. აკი ვითხარი, ესე მგონია, უდაბნოში ვიყო მარტოდმარტო.

გული ჩამწყდა, ერთბაშად მომაწვა სინანიული. ნუთუ ეს მამაჩემი იყო? კაცი, ვინც მარტოდმარტომ მოიგვრია მთელი ბანდა. ექვსი წლის ვიყავი მაშინ. მამა კოლმეურნეობის თავმჯდომარედ მუშაობდა. ომიდან გამოქცეული, ტყეში ვავარდნილი დეზერტირების ბანდა დაეცა ჩვენს სახლს. მამაჩემმა სახლის სიღრმეში, საიმედო ადგილას გაგვიხინა, თვითონ მაშხანით ჩასაფრდა და მთელი ორი საათი წუილი გაჰქონდა ტყვიებს. თვით ბანდის მეთაური და ერთი წევრიც მძიმედ დაჭრა, დანარჩენები კი გაბრუნდნენ. დილითა, — როცა ყველაფერი დაწყნარდა, — გაბედა ხალხმა გარეთ გამოსვლა, რაიონის მი-

ლიციდანაც ჩამოცვიდნენ, ის ორი დაჭრილი შეიპყრეს, ხოლო მამაჩემი ფულითა და ნაგანით დაასაჩუქრეს.

ნუთუ ეს მამაჩემი იყო, ერთ დროს ყველა გაჭირვებულის მფარველი და შემწყალე, სიკეთის მთესველი და სხვისი ჰკუის დამრიგებელი?!

მთელი ღამე ასეთ ფიქრებში ვბორავი და საღაც, შუალამის მიღმა ჩამეძინა. არ ვიცი, რა დრო იქნებოდა, როცა ავღვიქი. ეგებ დილა, ეგებ შუალდევ, რას გაიგებდი, ცა ერთნაირი, ნისლა ღრუბლით დაფარულიყო, თოვლის წინ რომ იცის ხოლმე ისეთით. წუთიწუთ თოვას დაიწყებდა. დიდ თოვას.

ჭიშკარში მურა გამეხირა, წყმუტუნებდა, წინ მიდგებოდა, გზას არ მაძლევდა, თან თვალეში შემომყურებდა.

— შენ რალა გემართება, ძაღლო, დაიკარგე აქედან! — წიხლი წაჰკრა მამაჩემმა.


ჰალამდე მომყვა, შევატყვე, უკან გაბრუნება ეძნელებოდა.

მესამე დღეს, ლენინაკანში გამგზავრების წინ, მამცნეს მამის სიკვდილი. მე რომ წამოვედი, იმ დღეს დიდი თოვლი მოსულა. მთელი დღე და ღამე უთოვია. მეორე ღამეს ქარბუქი ამტყდარა. დილით ძაღლის ყმუილს შეუშფოთებია მეზობლები. ფეხის კვალს გაჰყოლიან და სასაფლაოსთან არ მისული, თოვლში გაგულული უბოვით მამაჩემი. რა მოელანდა, შუალამისას იმ ქარბუქში რამ გაიყვანა, იქნებ დედაჩემი დაესზმრა, იქნებ იმან უხმო, არ ვიცი, არაფერი არ ვიცი, მარტო ის ვიცი, რომ ვერ ჩავიხედე მამაჩემის სულში, მარტო ის ვიცი, რომ ჩვენ პირდაპირ მკვლელებს ვასამართლებთ, ირიბ მკვლელებს კი საყვედურსაც არ ვეუბნებით.

— მძისწყულო! — მომესმა უცებ სასაფლაოდან. მივიხედე, ჭიოტა გადმომდგარიყო და ხელს მიქნევდა. აღმართზე დედაჩემი მიდიოდა, ჭიოტას მხეჟალა. ბოხაში გამოქრული სამხარი მიჰქონდა თავის კაცთან. ბეჭებში ოდნავ მოღუნული ისე მსუბუქად მიდიოდა, თითქოს ქარზე ზისო.

— მობრუნდი, მძისწყულო, მხეჟლო მოდის, მხეჟლო! — ისეგ ხელს მიქნევდა ბერიკაცი.

„ცოლი რომ ჰყოლოდა, მამაშენს რა მოჰკლავდა!“ — ყურში მედგა ჭიოტას ნათქვამი. ამ წუთში, ამ გუნებაზე გული არ მიმიწყევდა, გაპატარებულ, შამბით დაფარულ ჩვენს ეზოში შევსულიყავ, დაყრუებული მდუმარე კედლები სიგიჟემდე მიმაყვანდა. უცებ დამებადა სურვილი, მივბრუნებულიყავი და ახლოს მენახა ჭიოტას მხეჟალა.



ანსამბლი „თბილისი“

ქართული ფოლკლორის სახელმწიფო ანსამბლი „თბილისი“ ათი წლის წინათ ჩამოყალიბდა (სამხატვრო ხელმძღვანელი საქართველოს კომპაზიორის პრემიის ლაურეატი, ზელოვნების დამსახურებული მოღვაწე რობერტ გოგოლაშვილი, ქორეოგრაფი ზელოვნების დამსახურებული მოღვაწე რევაზ ქობონელიძე).

ანსამბლი ძირითადად ანსამბლად დებისაგან შედგება. ანსამბლის პროგრამა მრავალფეროვანია. რეპერტუარშია ქართული სიმღერები, ცეკვები, ძველი ქართული თეატრალიზებული სცენები: „ქილაობა“, „ბერიკაობა“ და მრავალი სხვა.

ანსამბლმა „თბილისმა“ მსოფლიოს მოწონება დამსახურა ჩვენი რესპუბლიკის გარეთაც. მისი ცეცხლოვანი ცეკვები და სიმღერები გაიცნეს მოსკოვში, ლენინგრადში, კიევში, სვერდლოვსკში.

ანსამბლმა კონცერტები გაართა დასავლეთ გერმანიასა და საფრანგეთში.

ინილმით ამავე ნომრის ჩანართის მეორე და მესამე გვერდები.



ფოილუს სიდი

შენ რა გგონია?!

მტკვართან რომ მიხვალთ, შეანელეთ მატარებელი!
განა რელსებზე, ზედ ამ გულზე გადაატარეთ!

გავაღებ სარკმელს და დაბნევა არ დამაბრალონ,
ფოილუს ხიდზე გამეჭვება მწერა ჩიხურთან:

გთხოვთ, შეანელოთ მატარებლის სიჩქარე ცოტა.
იქნებ ჩიხურთან შემეგებოს ძველი მეისრე.

წითელ-ყვითელი, მწვანე ალმით აცილებს მგზავრებს.
მე ხელს დავუქნევ, ამეგსება ცრემლით თვალეში.

ფოილუს ხიდთან შეანელეთ მატარებელი!
განა რელსებზე, ზედ ამ გულზე გადაატარეთ!

ნაგალი

შენ მწერ, თითქოს მოგენატრე, მოგესურვე,
ითვლი წამებს, უჩემობას ისე დარდობ,

თვე გავიდა... საუკუნედ გვიღირს იგი,
ერთ ჭერქვეშ კი გვიფიქრია ზოგჯერ გაურაც.

დარჩა ცოტა, მონატრებას ვიკლავ გულში,
დარჩენილი დრო ჩათავდეს, მთავარია.

მე თუ ვიცინი, რა გგონია, არ ვფარავ ნაღველს?
და როცა ვნაღვლობ, არ ვიოკებ, გგონია, სიცილს?

სულ იმთავითვე, დღეც და ღამეც, ჩემში ღრმად სუნთქავს,
ჩემს არსებაში შერწყმულია ზაფხულ-ზამთარი,

ჩემი ვაჟიშვილი

ქცევას რომ გიწუნებ, არ არის ახალი,
თვალეში ცრემლით გაქვს სავსე-

და იმ დროს, მე როცა სიმშვიდე მენება,
შენ ცელქობ, ჩემს წყენას ცდილობ,


შენ ჩემი სიღინჯით ვინ განახავს კმაყოფილს,
მე შენი სიცელქე მზარავს,

მე მინდა, ჩემნაირად დადიოდე,
ჩემნაირად გესმოდეს და ბჭობდე.

მე ვიცი, რომ არ ვარ მართალი,
რომ გახვევ ჩემს აზრებს თავზე,

დღეს კი ის აკეთე, რაც ასე გახარებს,
იცხოვრე შენ როგორც გიჭობს,

აზიერბაიჯანულიდან თარგმნა
ლელია ვარამეა.



უსათაურო


თურმე მწყუროდა —
 და შენ მომწყურდი,
 აგერ ხარ თურმე —
 და მომენატრე!..
 შენს ღობეებში მაქვს გამოწნული
 ამ წუთისოფლის ჩემი ყვილა დღე-
 მე რა ვარ —
 შენი მიწა ნაზელი,
 შენი სხეულის მცირე სხეული,
 შენი ჰივო ვარ,
 შენი ვაზები
 ტანს ჟრუანტელად მაქვს ახვიული.
 ან როგორ გაადრებ
 ამ მკვლე სტრიქონებს,
 მცირე და დიდო ჩემო მამულო!
 შენი ერთი დღეც ვერ მოვიგონე
 უჟრუანტელოდ და უალმუროდ.
 ო, რა დარდი ხარ, რა გულსაკლავი...
 სულ, სულ მინდოდი,
 სულ შენ მინდოდი...
 ვარ
 შენი
 ერთი
 მცირე საფლავი,
 შენი
 პატარა
 მწვანე მინდორი.

სასწაული

იქნება მოხდეს სასწაული
 და გავიგონო
 ხმები —
 ერთში
 ათასწლობით
 რომ გაფანტულა!
 მარაბდაც ვნახო
 და დიდგორიც მოვიდიდგორო,
 ტკბილად გალობდეს
 ოპიზარი
 ხატთან...
 ქართულად...
 მაგრამ, მე ვიცი:
 სასწაული არ ხდება თავად,
 რომ სასწაულმაც დაკარგა ფასი!
 და ისე მოვა,
 ისე წავა,
 მოვა და წავა,
 რომ უჩვეულო
 არაფერი
 იქნება
 მასშიც...

სტუმარი

რა ვიცი,
 რა დროს მოვა სტუმარი,
 მზად უნდა ვიყო, თორემ...
 რა ვიცი!..
 სტუმარი მაინც არი სტუმარი,
 სტუმარი მოდის მაინც
 თავისით.
 მხოლოდ საღამოს დაუცდის იგი
 და შერე მოვა,
 უთუოდ მოვა.
 მხოლოდ საღამოს დაუცდის იგი,
 შვილებს —
 საცოლოს და გასათხოვარს.
 მხოლოდ საღამოს დაუცდის იგი...
 კეთილი იყოს იმისი მოსვლა
 მხოლოდ საღამოს...
 ვინ იცის, იქნებ,
 თავზე დამადგეს შუადღის დროსაც.



... ვინ იცის,
 რა დროს მოვა სტუმარი,
 მზად უნდა ვიყო, თორემ
 რა ვიცი!
 სტუმარი მაინც არი სტუმარი,
 სტუმარი მოდის მაინც თავისით...

საუბარი წინაპრებთან

კარგა ხანია,
 გასართობად აღარ ვკითხულობ,
 სამაგიეროდ,
 ვწერ გასართობად,
 რომ ჩემო მეხრეგ,
 გუთნისდევად,
 ჩემო ქვითხუროვ, —
 ტყუილად, მაგრამ
 ჩემთვის
 გულში
 ვითხრათ
 მადლობა...
 სავესე მაქვს სული
 თქვენი ცით და
 თქვენი ჰინკებით,
 როგორ შევძლებდი
 ამდენ რამეს,
 როგორ გავძლებდი,
 თუ არა თქვენი
 ელჩიონი მეროჭიკენი —
 ჩამორღვეული
 ციხეები,
 რუხი
 ტაძრები.
 მე ვარ მდინარე,
 თქვენს კალთაში
 მიდევს სათავე!
 თვალეებში —
 თქვენი რუხი ფერი
 ათინათინდა;
 და თქვენ დამყურებთ
 და მითვალთვალებთ
 ყოველი მთიდან,
 მალღობიდან
 და გორაკიდან!
 რა ვარ უთქვენოდ,
 სახადივით
 თუ არ ვაღამდეთ
 ვგ ჟრუანტელი...
 და ხელი არ
 დამადეთ მხარზე...
 მე ვარ ქალაქი —
 ნიკოფსიდან დარუბანდამდე
 ციხეებით და ტაძრებით სავესე.
 და რა ხანია,
 გასართობად აღარ ვკითხულობ,
 ვწერ ხოლმე გულის მოსაფხანად
 და გასართობად,
 რომ ჩემო მეხრეგ,
 გუთნისდევად,
 ჩემო ქვითხუროვ,
 ტყუილად, მაგრამ
 ჩემთვის გულში ვითხრათ მადლობა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ფანდური

სულ დახლართული,
 სულ დაბურღული
 უზომო ხმები;
 და ზღვა ფერები;
 გაცალწილი
 და გაქურდული
 ხმა უბედურთა ბედნიერების, —
 მღერის ფანდური,
 მღერის ფანდური —
 ხმა ერთი —
 ასად მიმოფანტული.
 მღერის ფანდური,
 მღერის ფანდური —
 ხმა შორეული
 და დაკარგული,
 ხმა,
 ხმა ჩამდგარი,
 როგორც ბურუსი, —
 ჩალის ზვინებში,
 თივის ბულულში,
 ხმა — სულ ხმაური,
 ხმა — სულ გნიასი
 ქარის ქიქინში,
 წყაროს ჩხრიალში,
 ტყეთა შრიალში,
 ყანის ნანაში...
 ხმა აკაკისი და
 ბაჩანასი...
 ხმა არეული
 და გაბნეული
 ოდოიაში,
 ოროველაში,
 ასი სიცოცხლის
 ერთი სხეული —
 ხმა,
 ხმა,
 ხმა ერთად,
 ერთად ყველასი!
 ხმა — სულ ხმაური,
 ხმა — სულ გნიასი
 სიოს დუდუნში,
 წყაროს წკრიალში,
 ხეთა შრიალში,
 ყანის ნანაში...
 ხმა აკაკისი და...
 ბაჩანასი.

არც მე არ ვიცი

ტყუილუბრალოდ გაიბუტა
 წელან
 ტირიფი... —
 (ერთს რომ კარგს ეტყვი,
 სხვა ამ ნათქვამს ვითვლის სიაგიდ).
 გულის საკინძე ვავისენი
 და გავშლილფდი
 და აკაცის ვეფერე და
 ველოლიავე...
 რად გაახელა სხვა
 უბრალო, ტკბილმა სიტყვებმა, —
 ჩემს აკაცის ჩავეხვიე და ჩავეკარი...
 არც მე არ ვიცი,
 და არც არვის არ ეკითხება,
 რად მიჩვენია ტირიფის თმებს
 მისი ეკალი.



ალექსანდრა პუშკინი

რადიშ თორდია

საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვარი

საქართველოს მთაგზა

საქართველოს მთებს ღამის ბინდი შემოჰფენია,
ხმაურობს ხევი არაგვის ხმაზე.
ჩემი მოწყენაც იოლია, ის ნათელია
შენის მშვენებით და შუქით სავსე.


აღსავსე შენით, მხოლოდ შენით, სიჩუმე დადგა
და აღარავინ მიღვიძებს დარდებს,
და ისევ იწვის ჩემი გული და უყვარს, რადგან
არ შეუძლია, რომ არ უყვარდეს.

თარგმანი კაოლო იაშვილისა.



ქართული ფოლკლორის სახელმწიფო
ანსამბლი „თავისი“

ფოტო სერგო ელიშვიტაშვილი






მთაბუი

მხატვარი მანანა თუმანიშვილი

„ასკინია“

მოედანდაკე ბორის ციბაძე
საძარეველოს სსრ დამსახურებული მხატვარი



თბილისი მიხეილ რომანოვსკის შემოქმედებაში

მაია ივორია

● ძველი თბილისის ეგზოტიკა, მისი განუმეორებელი კოლორიტი მუდამ რჩებოდა შთაგონების წყაროდ არამარტო ქართველი, არამედ ჩამოსულა და მკვიდრი არაქართველი მხატვრებისთვისაც. ამ მხრივ ჩვენი ქალაქის ყოფის ასახვასა და საბეიზაო მხატვრობას დიდი ტრადიციები აქვს.

ხელოვნების მოყვარულთათვის ჯერ კიდევ უცნობია ბევრი ისეთი მხატვრის სახელი, რომელთაც თავისი შემოქმედების მნიშვნელოვანი ნაწილი ძველი თბილისის ცხოვრების ასახვასა და მისი სპეციფიკური სახის წარმოდგენას დაუკავშირეს. ერთ-ერთი მათგანია მხატვარი მიხეილ რომანოვსკი, მისი ნამუშევრები პირველად ამ რამდენიმე ხნის წინათ ვიხილეთ სამხატვრო გალერეაში მოწყობილ გამოფენაზე „თბილისი ქართულ მხატვართა შემოქმედებაში“. მხატვარ-გრაფიკოსი ჩვენი საუკუნის 20-იან წლებში მოღვაწეობდა საქართველოში, მისი ბიოგრაფიის შესახებ თითქმის არაფერი ვიცით.

ხელოვანის მიერ შექმნილი გრაფიკული ფურცლები „მეთევზეები ნავტიკზე“, „თერძი“, „თევზის სავაჭრო“, „თბილისელი მოქეიფენი ეტლზე“, „სპარსული პურის საცობი“, „ხილის გამყიდველი ღვინის აღმართზე“ ცოცხლად გადმოგვცემენ ძველი თბილისის ცხოვრებას. ისინი შესრულებულია ტუშითა და გუაშით და ქმნიან ერთიან თემატურ სერიას, რომელშიც რომანოვსკი ცდილობს, ქალაქური ყოფის საქმიანი ატმოსფერო აღბეჭდოს. რომანოვსკის მიერ გადმოცემული სამყარო რეალურია, სადაც ნათლად მჟღავნდება მხატვრის ფაქიზი დაკვირვების უნარი. მისი გრაფიკული ფურცლები ეთნოგრაფიულადაც ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს, თუმცა აღქმულის ავტორისეული მხატვრული ინტერპრეტაცია ნამუშევართა თითქმის ყოველ ნიუანსში იჩენს თავს.

თითოეულ სურათს ნათელი, ადვილად წასაკითხი კომპოზიცია აქვს. კამერულ სცენებში თბილისური სახლები ჰარბობენ, ისინი ფონს უქმნიან ქალაქური ყოფის ამსახველ ეპიზოდებს და თავისებურ ინტონაციას ანიჭებენ სურათებს. ამგვარი არქიტექტურული პეიზაჟის მეშვეობით რომანოვსკი მშვენივრად გადმოსცემს ქალაქის გაუხუნარ სახესა და ელფერს, ძველი თბილისის მცხოვრებთა სამყაროს.

გრაფიკულ ფურცლებზე აღბეჭდილი სცენები მომენტის ცოცხალი ფიქსაციისა და წარმოდგენის შთაბეჭდილებას ქმნიან. თითქმის ყველგან საოცარი გულმოდგინებით არის ნაჩვენები გარემო. ამით ხელოვანი მხატვრული სახის ემოციურ გამომსახველობას აძლიერებს. კომპოზიციაში წარმოდგენილი ატრიბუტები პერსონაჟის საქმიანობაზე მეტყველებენ („თერძი“). მხატვარი განზოგადებულ სახასიათო ტიპებს წარმოგვიდგენს, რომლებიც ამავე დროს კონკრეტული ნიშნებითაც ხასიათდებიან. თვალსაჩინოებისთვის გავიხსენოთ სომეხი სოფდაგარი („თევზის სავაჭრო“), მედღუქენ („სპარსული პურის საცობი“), კინტოები („თბილისელი მოქეიფენი ეტლზე“) და ა. შ. რომანოვსკი მათი გამომეტყველების ოდნავი უტრირებით საინტერესო ინდივიდუალური თვისებების მქონე პერსონაჟებს წარმოგვიდგენს, ისინი ამავე დროს ტიპიური არიან თავისი გარეგნობითა და პოზებით. როგორც ჭეშმარიტი ინტუიციის მქონე შემოქმედი, იგი გვერდს ვერ უვლის ძველი თბილისისთვის დამახასიათებელ ისეთ ტიპურ მოვლენებს, როგორც არის ბაზრობა, ან ქალაქის მკვიდრთა თავდავიწყებული დროსტარება. ფრაგმენტული ხასიათის ნამუშევრები ქმნიან ნათელ სურათს ძველი ქალაქის ყოველდღიურობისა, სადაც ცხოვრება თავისი ჩვეული კალაპოტით მიედინება.


აღსანიშნავია, რომ ეს სამყარო მრავალი მხატვრის შემოქმედებაში გვხვდება, მაგრამ თითქმის ყველგან სხვადასხვა-



თევზის ვაჭარი.

თერძი.





ბაზრობა.

გვარად წარმოგვიდგება. რომანოვსკის ნამუშევრებშიც ფიროსმანისეულ და გულიაშვილისეულ ნაცნობ პერსონაჟებს ვხვდებით, მაგრამ ამჯერად ისინი მხატვარმა თავისებური, მხოლოდ მისი ბუნებისათვის დამახასიათებელი ყლერადობით გადმოგვცა.

გრაფიკულ ფურცლებში გუაშის ფერადოვანი ლაქების უმჭვირვალე, დაგუდული პალიტრა ტუშის შავი, მოქნილი მონახაზით იფარგლება; აქ ძირითადად მოყავისფრო-მომწვანო გამა ჭარბობს, ლოკალური, კონტრასტულად დალაგებული ტონებით ვაცოცხლებული. ხშირად ეს ტონები კომპოზიციური ცენტრის გამომყოფ აქცენტებად აღიქმება. მაგალითისთვის გავიხსენოთ თერძის მსხვილი მასშტაბით მოცემული ლურჯი სამოსის ლაქა, რომელიც მკვეთრად გამოიყოფა სახლთა წითელი სახურავების ფონზე („თერძი“), მეწამულ-ღვინისფერისა და მკლერი მწვანის კონტრასტული დაპირისპირებით ხაზგასმულია მიმდინარე მოქმედება („სპარსული პურის საცხობი“).

განსაკუთრებით ხშირია მ. რომანოვსკის შემოქმედებაში ნაცრისფრის მრავალგვარი ნიუანსირება, მისი მუქ და ღია ტონებში გრადაცია. გარდა კომპოზიციური დატვირთვისა, მხატვარი პალიტრას სცენის საერთო განწყობის გასაძლიერებლად იყენებს. ფერთა დაპირისპირება და ნიუანსირება ქმნის მკლერ, ხალისიან ფერადოვნებას. საღებავის ტონებს პარმონიულად ერწყმის მსხვილი, მკაცრად დასრულებული ნახატი. ხაზი, ფერადოვან ლაქასთან ერთად, რომელიც მშვიდი და არაფაქტურულია, სურათის მთავარ გამომსახველობით საშუალებას წარმოადგენს.

ყოველივე აღნიშნული განსაზღვრავს ძირითადად რომანოვსკის ნამუშევართა გრაფიკულობას. გრაფიკული ფურცლები ლაკონურადაა შესრულებული. ტუშის მკვეთრი, მოქნილი სილუეტი, მიუხედავად

ფერის ლოკალურობისა, ზოგადად წარმოგვიჩენს ფორმას. მხატვარი ამას კონტურის ოდნავ შესამჩნევი შეთხელებითა და გამსხვილებით აღწევს. მსუბუქი, ძუნწად მინიშნებული შტრიხები სამოსის ნაკეცებზე მიგვითითებს. ხაზთა ეს ძალდაუტანებელი დინება მრავალფეროვანია თავისი მონახაზით, ზოგან პლასტიური, ზოგან კუთხოვანი. მათი პარმონიული შერწყმა აძლიერებს სცენის საერთო მეტყველებას და ამავე დროს დეკორატიულობას ანიჭებს კომპოზიციას.

ლოკალურ ტონთა სიბრტყეზე განლაგებასთან ერთად, მიუხედავად ზომების დიფერენცირებისა, ეს იქნება ფიგურები თუ არქიტექტურული პეიზაჟი, სივრცე ერთ სიბრტყეში შეიგროვდება. ამაში გარევეულ როლს თამაშობს მკაფიო ნახატი და ორივე პლანზე ერთნაირი ინტენსიურობით წარმოდგენილი გუაშის ფერად

დოვნება. მართალია, დარღვილი და განათებული სიბრტყეების რბილი ტენიონობა გარკვეულად უნდა ქმნიდეს სივრცის ილუზიას, მაგრამ იგი ხშირად ჩაქეტილია სასურათო სიბრტყის არქიტექტურული პეიზაჟით მკიდროდ შევსების გამო.

რომანოვსკის ნამუშევრები, უპირველეს ყოვლისა, მიგვითითებენ ხელოვანის, როგორც გრაფიკოსის, მაღალ ოსტატობაზე. ტუშის თითოეული მონახაზი მეტად პროფესიონალურია. როგორც ჩანს, რომანოვსკის მიღებული ჰქონდა თანმიმდევრული, აკადემიური მხატვრული განათლება.

თუ წამით გადავავლებთ თვალს ამავე პერიოდში მოღვაწე ქალაქის მკვიდრ ვანო ხოჯაბეგოვის შემოქმედებას, კიდევ ერთხელ დავრწმუნდებით რომანოვსკის თბილისური სურათების თვითმყოფადობაში. ხოჯაბეგოვის ნამუშევრები თემატურად პასუხობენ მის გრაფიკულ ფურცლებს. ისინი აშუქებენ ძველი თბილისის კოლორიტის ისეთ განუყოფელ მხარეს, როგორც ქალაქური ქეიფის სცენებია. აქ მკლავნდება ხოჯაბეგოვის დაუდგრომელი „სამხრეთული ძალა“. რომელიც მნიშვნელოვან როლს თამაშობს მისი სურათების კომპოზიციური გადაწყვეტისას. ხოჯაბეგოვის ნამუშევართა ხალისიანი განწყობა უპირისპირდება რომანოვსკის მშვიდ, ზომიერ, საოცრად სერიოზულ და რაციონალურ გრაფიკულ ფურცლებს, სადაც თითოეული ფიგურა ფუსფუსებს და გართულია თავის საქმიანობაში. ასევე სრული კონტრასტია ამ ორი შემოქმედის შესრულების მანერათა შორის. ხოჯაბეგოვის ნამუშევრებში თხელი, ფაქიზი ხაზი მსუბუქად შემოწერს ფიგურებს და ქმნის უწყვეტად ღენად ჰაეროვან ნახატს პირველისაგან განსხვავებით, რომლის ნახატი მტკიცე, მკვეთრი და მოქნილია.

ამრიგად, ამ მოკლე შედარებაში ცხადყო, რომ ძველი თბილისის ბოჰემის მომღერალთ კიდევ ერთი, აქამდე თითქმის უცნობი მხატვრის სახელი შეემატა, რომელმაც თავისი შემოქმედების ნაწილი ორგანულად დაუკავშირა თბილისს.



თბილისელი მოქიფენი.



მხიარული მედოლე და თემურლენგი

— ეს დოლის პურია, ნახე, რა მსხვილი მარცვალია, — მითხრა პაპამ და ხელისგულზე დაყრილი ხორბალი მიჩვენა.

ხორბალი, მართლაც, მსხვილი იყო, შვინდის კურკასავით სავსე, სულ ოქროსფრად ბრწყინავდა.

— ამით გამოძეხვარი პურით ვერ გაძლები, ისეთი კარგი და გემრიელია, — განაგრძობდა პაპა.

— დოლის პური რაღად ჰქვია? — ვკითხე მე.

— განა დოლის პურზე ლეგენდა არ გაგივია? — გაიკვირვა მოხუცმა.

— არა!

— გეტყვი, შენ მარტო ყური დამიგდე. იმ არაკაცმა, თემურლენგმა, საქართველოს დიდი უბედურება მოუტანა, ხალხი ყუჟა და ყუჟა, არც დიდს ინდობდა, არც პატარას. ხელი მიჰყო და მიწა პარტახად აქცია. ქვანახები ზინყზე დასცა; ადამიანებს პურს ართმევდა, სათესლე მარცვალსაც არ უტოვებდა, რომ ეთესათ და მოსავალი მოეყვანათ; ხალხი დაიშრა, იგეთები დადიოდნენ, იურმე ჩრდილებით, ძალ-ღონე გამოცლილები და გადალაწლაწებულები. ემანდ არ წავიქცეთო, ერთმანეთს ეყუდებოდნენ.

გვეკითხები, რა უნდა ექნათ? საზრდოდ ბალახბულახის ძირები დარჩათ, დადიოდნენ ტყე-ღრე და ხილს აგროვებდნენ. გაჩნდა ავადმყოფობა. ბავშვები ბუზბივით იწოცებოდნენ.

დანა პირს არ უხსნიდათ გუთნისდებებს. სახნის-საკვეთს ჟანგი მოეკიდა, საყანე მიწებს ბალახმა გადაუარა და გაყამირდა, აღარც გუთნური სიმღერა მოის-

მოდა და აღარც კალოსპირული.

— რა გვეშველება, რა ვიღონოთო, — ერთმანეთს შესჩიოდნენ ადამიანები.

მარტო ერთი კაცი იყო, რომ იმ ზღვა დარდასა და დარდუბალას არ ეპუებოდა. მედოლე გახლდათ. აიღებდა თავის შვინდით წითელ დოლს, დადიოდა სოფელ-სოფელ, უკრავდა. ზედ დამღეროდა. ხან საცეკვაოს დასცხებდა და ჩაბუქნავდა. იმის მაყურებელს ცოტა ხნით მაინც დარდი და შიმშილი ავიწყლებოდა, თვალეში მომავლის იმედის ნაპერწკალი აენთებოდა.

იარა, იარა ამ ამბავმა და იმ არაკაცის ყურამდე მივიდა, ამა და ამ ადგილას, ეგეთი და ეგეთი კაცი ვნახეთ, დადის სოფელ-სოფელ, დოლს უკრავს, ზედ დამღერის და დარდი ფეხებზე ჰკიდიაო.

— როგორაო, — განრისხებულა ის კოჭლი მამაძალი, — საჩქაროდ მოძებნეთ და აქ მომგვარეთ, რომ ცხვირიდან ძმარი ვადინო.

იმთაც უტაციათ ხელი მედოლესთვის და მიუყვანიათ.

— გაემზადე, ხმლით თავი უნდა წაგაცალო! — უყვირა თურმე თემურლენგმა.

— რათა, შენი ჭირიმე, რა დავაშავე?! — შეუბედნია მედოლეს.

— როგორ თუ რა დავაშავე, ჩემი შიშით ვინლა არ კანკალებს, შიმშილით სული სძვრებათ, შენ რა ეშმაკი გაცეკვებს და გამღერებს?

ჩუმათ ხომ არ იქნებოდა მედოლე და ისევ შეუბედნია.

— მბრძანებლო, შენი საქმე ქვეყნების დაპყრობა და ხმლის ქნევაა, ჩემი კი დო-

ლის დაკვრა და ხალხის გამხიარულება. აბა, რას ვაკეთებ იმისთანას, რომ ხმლით თავის წაცლას მიპირებ?

მოსწონებია იმ არაკაცს მედოლის პასუხი და უთქვამს: მაგრე რომ არ გეპასუხნა, ახლა შენი თავი მაგ დოლთან ერთად მიწაზე გაგორდებოდა, სიცოცხლე შემინარჩუნებია შენთვის და დაგასაჩუქრებ კიდეც. მთხოვე, რა ვინდაო.

— არაფერიც არ მინდა, მბრძანებლო, ამ დოლში რამდენი ხორბალიც ჩავა, იმდენი მომეცი და დიდი მადლობელი ვიქნები, — მიუგო თურმე მედოლემ.

— საწყალი, თავის დოლივით გამოსცარიელებია ვოგრა, რომ სხვა ვერაფერი მომთხოვა საჩუქრად, — გაიფიქრა იმ ჩაფეხვილმა და ბრძანა, მედოლისათვის სურვილი შეესრულებინათ.

მედოლემ დოლს დამკიმი თოკი მოუხალვათა, ერთი მხრიდან ტყავი მოხსნა, შიგ ხორბალი ჩაყარა, მოიკიდა ზურგზე და შინისკენ გასწია. ვინც გზად შემოხვებოდა, ხორბალს მუჭა-მუჭა უნაწილებდა.

თესლი იშოვნეს გუთნისდებებმა. მინდვრად გუთანი გაიტანეს, მიწა მოხნეს და დათესეს.

ხორბალმა ხომ ეგრე იცის, შვილო, ერთი ასად იქცევა. ზღვა მოსავალი მოვიდა, ხორბლით გაივსო ამბრები. ამუშავდა მიყუჩებული წისქვილები, აბრიალდა თონეები და ვარცლის თავზე თოქმა-თოქმა შოთი პურები გაჩნდა, ხოლო იმ ცხონებული, მხიარული მედოლის ამავი რო არ დაკარგულიყო, ხალხმა იმის მოტანილ ხორბალს დოლის პური შეარქვა. განა სხვა სახელი მოუხდებოდა?

გვირგვინი

ერთ მეფეს საოცრად ლამაზი ქალიშვილი ჰყავდა, მისი სიმშვენიერის შესახებ ძალიან შორს იყო ამბავი წასული. ბევრი ჰაბუჯი ოცნებობდა მასზე. დღე ერთი იყო და ათი-ოცი კაცი მაინც უნდა ხლებოდა მეფეს სასახლეში ქალიშვილის სათხოვნელად, მაგრამ მისი ასული ყველას უარით ისტუმრებდა.

დაიღალა მეფე ამდენი მთხოვნელის მოსვლით, დაუძახა თავის ასულს და უთხრა: — ან გათხოვდი, ან რამე მოვიფიქროთ, ამოდენა სასიძოვები მოვიცილოთ!

ქალიშვილმა ურჩია: — მამაჩემო, ვინც ყველაზე ძვირფასს, თანაც ლამაზ ვვირგვინს მომიტანს საჩუქრად, ცოლად იჩას გაყვებით.

იმავი დღეს ხელმწიფის მოციქულები ქვეყნის ოთხივე მხარეს მოედგნენ და მეფის ბრძანება აუწყეს. გაიგეს სხვა სახელმწიფოთა უფლისწულებმაც და დაფაცურდნენ. საქმე გაუჩნდათ ოქრომქედლებს, მქარავებს, მხატვრებსა და მკერავებს. სასიძოვები არაფერს იშურებდნენ, ოღონდ ისეთი გვირგვინი გაეკეთებინათ, მეფის ასულს რომ მოეწონებოდა.

ღანიშნულ დღეს მეფის სასახლეს იმდენი გვირგვინიანი ბედის მაძიებელი მოაწყდა, ვერ დაითვლიდით.

დაბრძანდა მეფე ტახტზე, გვერდით თავისი ქალიშვილი მოისვა, ირგვლივ დიდებულები ჩამორიგდნენ და დაიწყო გვირგვინების ნაკადულმა დენა. სასიძოვებს წინ გამოწვდილი ხელებით მოჰქონდათ ოქროთი, ვერცხლით, ბრილიანტითა და მარგალიტით შემკული გვირგვინები, თითო იმისთანა იყო, იმით ერთ ქალაქს იყიდდა კაცი. ვერც სასიძოვებს დაიწუნებდა ვინმე, მხარბეჭიანი, მოხდენილი ჰაბუჯები იყვნენ, მიდიოდნენ მოწიწებით მეფისა და მისი ქალიშვილის წინ და გულისფანქვლით მოელოდნენ, ან ახლა იტყვის მეფის ასული, აი ეს გვირგვინი მომწონს, ან აი ესაო, მაგრამ ქალიშვილი დუმდა, ვერცერთის გვირგვინის სიძვირფასემა და სილამაზემ ვერ მოჰგვარა სიამოვნების შუქი. იმედგაცრუებული სასიძოვები გულდაწყვეტილები ტოვებდნენ სასახლეს.

გაოცებული იყო მეფე, ჰკვირობდნენ დიდებულები, ამდენ ძვირფას და თვალწარმტაც გვირგვინში მეფის ასულს ნუთუ ერთი მაინც არ მოეწონაო?

გვირგვინების ნაკადი თანდათან შემცივრდა. უკანასკნელმა სასიძოვამ რომ ჩაიარა, სასახლის კართან ჩოჩქოლი ატყდა.

— გამიშვით, ბედს მეც ვცდიო, — დაიძახა ვილაცამ.

ამ ხმამ მეფის ყურამდე მიაღწია.

— მანდ რა ამბავია? — იკითხა მან.

— ვილაც გლეხის ბიჭია, — მოახსენა მეფეს, — იმისთანა გვირგვინი მოუტანია, ჯაბიკია მისი ფასი!

— გამოუშვით! — ბრძანა მეფემ.

სასახლეში, მართლაც, გლეხის ბიჭი შემოვიდა, მზემოკიდებულ, სპილენძისფერ სახეზე ღიმილი დასთამაშებდა. წინ გამოწვდილ, დიდრონ, ღონიერ ხელებში მწიფე თავთავებით დაწული გვირგვინი ეჭირა. გვირგვინს მინდვრის რამდენიმე ღერო ცისფერთვალა ყვავილი ამშვენებდა. იგი ქალიშვილის წინ შედგა, თავი მდაბლად დაუქრა, თავთავების გვირგვინი გაუწოდა და თქვა: — ამ თავთავებში, მეფის ასულო, მიმალულია ის, რაც გვზრდის, გვალამაზებს, გვამშვენებს. ძალას გვაძლევს და სიცოცხლეს გვიხანგრძლივებს. პურზე ძვირფასსა და ლამაზს ამქვეყნად სხვას ვერაფერს ვხედავ, ეს გვირგვინიც, ჩემს მიერ მოყვანილი პურის ყანაში მომკილი ფავთავებით დავწვანი, რომ შენთვის მომერთმია.

— უკეთესი საჩუქარი სხვა არც მინდაო, — მეფის ქალიშვილმა ჰაბუქს გვირგვინი ჩამოართვა, გახარებულმა თავზე დაიდგა და ღიმილიანი სახით გვერდში ამოუდგა.



ვიტალი
ეროვნული
კორუტიჩი


თბილისში

საქართველოში სტუმრად იმყოფებოდა თვალსაჩინო უკრაინელი პოეტი და პუბლიცისტი, უკრაინის მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანი, ჟურნალ „ვსესვიტის“ მთავარი რედაქტორი ვიტალი კოროტიჩი. ქართველი ხალხის უანლოესი და კეთილი მეგობრის ჩამოსვლა თბილისში ყოველთვის სასიხარულოა.

ვიტალი კოროტიჩი მიიღო სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. ა. შევარდნაძემ.

16 იანვარს საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის დიდ დარბაზში ვიტალი კოროტიჩს შეხვდნენ მისი პოეზიის თაყვანისმცემლები. აქ ერთხელ კიდევ ნათლად გამოჩნდა, რა დიდი ადგილი უკავია საქართველოს უკრაინელი პოეტის შემოქმედებაში.

ვიტალი კოროტიჩმა წაიკითხა ლექსები, უბასუხა მკითხველთა შეკითხვებს. ქართველმა მსახიობებმა წაიკითხეს პოეტის ლექსები. აჟღერდა მის ლექსებზე შექმნილი სიმღერები.



დროვის
საქართველო

საიდან ასეთი უღმობლოა?

საყოველთაოდ ცნობილია ის მეტად სათუთი დამოკიდებულება, რასაც ჩვენი პარტია, კერძოდ, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, იჩენს ყოველი ჰემშარიტი შემოქმედის მიმართ. ქართველი ხალხიც დასაბამიდან პირდაპირ აღშერთებს თავის მწერლობას, მის ღირსეულ წარმომადგენლებს.

და აი, ამ დროს ჩვენი უურნალ-გაზეთების ფურცლებზე (არაფერს ვამბობთ პოეტურ კრებულებზე!) შეხვდებით ისეთ ნაწერებს, რომელთა წაკითხვაც, მეტი რომ არა ვთქვათ, უსიამოვნო გრძნობას იწვევს მკითხველებში. ვლადპარაკობთ მხოლოდ იმ ლექსებსა და წერილებზე, ანონიმურ ბარათებს რომ უფრო ვგავონებენ, ვიდრე ლიტერატურულ ნაწარმოებებს.

რა ეპბთეტიებით არ „ამკობს“ ზოგიერთი ავტორი თავის „მოწინააღმდეგეს“, რა დაუშვებელ საშუალებებს არ მიმართავს, ოდონდ მკითხველი მიახვედროს, თუ რომელ კოლეგას გულისხმობს იგი.

საიდან ასეთი უღმობლობა?

გულსატკენია, რომ ამ უცნაური პირადი ანგარიშსწორებისათვის გამოყენებულ „ოდებს“ ზოგჯერ ხელს აწერენ ჩვენი ცნობილი, სახელოვანი მწერლები. სამწუხაროა, რომ ურნალ-გაზეთების რედაქციები ხელს არ უშლიან ქართული ლიტერატურისათვის ამ შეუფერებელი, თუ შეიძლება ასე ითქვას, სარეველა „ჟანრის“ აღმოცენებას.

ამჯერად თავს ვიკავებთ ავტორთა დასახელებისაგან, ციტატების მოყვანისგანაც. წარმოვიდგინოთ მხოლოდ: რა მოხდებოდა „დაზარალებულმა“ მხარემ რომ უბასუხოს თავდამსხმელს?

ჩვენი აზრით, კოლეგების შეურაცხყოფელ ამ „თხზულებებს“ არაფერი აქვთ საერთო გულახდილ, ობიექტურ, ლიტერატურის ინტერესებით ნაკარნახევ თუნდაც ძალიან მძაფრ კრიტიკასთან. ეს უფრო წამიერი განწყვენების საფუძველზე შექმნილი განწყობილების გაელვებაა, რაც მწერლის უბის წიგნაკშიც არ უნდა ჩაიწეროს.

ოდესღაც ამგვარი შეურაცხყოფისათვის ან დუელში იწვევდნენ, ან სასამართლოში. როგორც სტრეგიი ესენინი ამბობდა, პოეტი პოეტის უნალი უნდა იყოს!

ავტორთა და შემდგენელთა უფლებების თაობაზე

ამ ბოლო ხანებში საკმაოდ ხშირად გამოდის მწერლისა თუ მწერალთა ჯგუფის (ჯგუფში ორი-სამი კაცი იგულისხმება) მიერ შედგენილი თემატური კრებულებითუ „ანთოლოგიები“. ეს კრებულები და „ანთოლოგიები“ ზოგჯერ არაობიექტურად არის შედგენილი: ზოგიერთი მწერლის შემოქმედება გაზვიადებულიადაა წარმოდგენილი, ზოგიერთისა — პირიქით.

მაგრამ ეს არ ვახლავთ მთავარი. მთავარი მაინც ის არის, რომ გამომცემლობათა მუშაკები არც კი ეკითხებიან ავტორს, სურს თუ არა მას შემდგენელთა გემოვნებით შერჩეული ნაწარმოებების მორიგი გამოცემა. ვფიქრობთ: ამ შემთხვევაში აუცილებელია ავტორის თანხმობა — წერილობითი ან სიტყვიერი.

კარგი იქნება, ამ საკითხზე თავის მოსაზრებებს გაგვაცნობდნენ საქართველოს სსრ საავტორო უფლებათა რესპუბლიკური სააგენტოს მუშაკები.

ზეზუა გეგაური.



და დე და ყოველი...

პაპი გოჭორიშვილი

შემოდგომა იწყება. ქუჩაში მივა-
ხიჭებ და ყვითელ, შემცივნულ
ფოთლებს ნატყვიარივით აჩნდება
წვრილი ქუსლების ნაკვალევია. მერე
ქარი მოვარდება, უსულოდ ქცეულ
ფოთლებს მოხვეტავს და სადღაც
შორს გააქანებს...

მე მულამ მომწონდა აი ასე, ფე-
ხით სიარული შემოდგომის მიმქრალ
ათინათზე. კარგია, როცა ძალა შეგ-
წევს, აქობო შენს სენტიმენტალო-
ბას, ფერმიხილდ ფოთლებში ჩაკლა
უნებურად წამოშლილი მოგონებები.
აი, ამისთვისაც მიყვარდა შემოდგო-
მა — ყველაფერი რომ დაუბრუნე-
ბლად მიდის — ესე იგი, თავიდან
იწყება...

...ახლა კი ვფიქრობ, რომ ვალში
აღბათ წვიმს. ჰო, რა თქმა უნდა,
შემოდგომაა და წვიმს. მოლიპულ
გზაზე ჭირს, ხანძიფათა სიარული.
მისი მანქანის საბურავები სულ
მთლად მოცვეთილია...

ახლა მე თითქოს თვალნათლივ
ვხედავ, როგორ გადაურეცხავს წვი-
მას მისი მოწაფეების სახლებისკენ
მიმავალი ბილიკი. ბავშვებს რეზინის
ბოტები აცვიათ და ხარობენ. ის კი
ჭოხს ფრთხილად ჩაასობს მიწაში,
მერე მთელი სხეულის სიმძიმეს მას-
ზე გადაიტანს, ფეხს გამართავს, მერე
ჭოხს ადგილს მოუნაცვლებს, მერე
ისევ გამართავს ფეხს და ასე, წვა-
ლებით, უთანბრო ნაბიჯით მიიწევეს
წინ, ლიბსა და ქენჭუკში, და ჭოხს
ისე მაგრად უჭერს ხელს, თითქოს
მეგობრის ხელი იყოს...

ახლა მე მისი პატარა ოთახი მა-
გონდება, სადაც მზე მხოლოდ საღა-
მოსიპირზე თუ შეიხედავს პრანკია
ქალის ნამალავი მწერით, სადაც
წყალი მხოლოდ დილით მოდის და
უნდა მოასწრო ქურჭლის ავსება;
სადაც იმდენი სურათი კილია, კედ-
ლები აღარ ჩანს, სადაც წიგნების-
თვის თაროები არ კმარა და საწერა
მაგიდა რელიკვიებს ვერ იტევს. რე-
ლიკვიები მისი მოწაფეების პირვე-
ლი ნახატებია. იგი მთელი ცხოვრება
ინახავს ამ ნახატებს.

ახლა მე ვიცი, რომ შემოდგომით
ის ყველაზე ბედნიერია, — რადგან
ზაფხული გასულია და მოწაფეები
კვლავ მასთან არიან.

ემა დემურია ამ ოცი წლის წინ
დაამთავრა თბილისში სწავლა და გა-
ლში დაბრუნდა. მის მშობლიურ ქა-
ლაქში მამლები ისე ყიოდნენ, ერთ-
მანეთს ხელს არ უშლიდნენ. ძროხე-
ბი ასფალტზე მუცლით წვიბოდნენ
და ზეიდ თავის ნაკვალევს ტოვებდ-
ნენ.

უშა დემურია ქუჩაში მიდიოდა,
გამვლენი ჩერდებოდნენ და თვალს
აუოლებდნენ. ბევრი სცნობდა. იმი-
ტომ, რომ ახსოვდათ მამამისი, სო-
ფელ პირველი გალის პირველი სკო-
ლის პირველი დირექტორი, ლენინის
ორდენის პირველი კავალერი ამ ქა-
ლაქში — ლადი ქეცბაია.

რაიონის განათლების განყოფი-
ლების გამგეს იმ დღეს ბევრი ხალ-
ხი უცდიდა. ემა ვერ შეინახეს. იგი
უხმოდ მიუჭდა მაგიდას. მერე მისი
რიგიც მოვიდა. ემამ საბუთები გა-
უწოდა გამგეს. გამგემ საბუთებს
გადახედა და თავი არც აუღია. ისი

თქვა: „ძალიან კარგი, სწორედ ხატ-
ვის მასწავლებელი არა გვყავს“. და
ახალგაზრდა პედაგოგი სამუშაოდ
გამწესა ქალაქის ოთხ სკოლაში, თან
კიდევ ერთი სოფლის სკოლაც დაუ-
მატა. ემა მაშინვე დაეთანხმა, მაგრამ
როცა წამოიღა და გასასვლელისკენ
გამართა, გამგეს ჩაესმა ნაბიჯების
არათანაბარი ხმა, გაიგონა მისი ჭო-
ხის ხმა, თავი ასწია და აჩქარებით
დაუძახა: „მოითმინეთ!“ სურდა ეთ-
ქვა: „ამდენი გაგიძნელებათ. მე
არ ვიცოდი...“ მაგრამ, როცა ემა
ნელა, ამაყად მოაბრუნა თავი და გა-
ოცებით შეხედა, გამგე მიხვდა: „არა,
ეს შებრალების უფლებას არავის
მისცემს“. და გაჩუმდა, აღარაფერი
უთქვამს.

ბავშვებიც მიხვდნენ ამას. როდღე
გაჩუმდნენ ახალი მასწავლებლის
ხართით, — ლაპარაკი გააბეს. ისხ-
დნენ, ხატავდნენ; თავისთვის კიდევ
ლილინებდნენ, ჩურჩულდებდნენ და
იციოდნენ. ისინი მთელი არსებით
ხატავდნენ თავიანთ ბავშვურ სამყა-
როს. ემა ხელს არ უშლიდა. მაგი-
დასთან იჭდა და ქალაღლე დახრილ
თავებს შეტყუებდა. დროდადრო წა-
მოდგებოდა, მერხებს შორის ჩაივ-
ლიდა და პატარების სულში იხედე-
ბოდა... ვაკეუთილის ბოლოს კი შურ-
ნაღს გადაშლიდა და გულმოდგინედ,
სიყვარულით გამოჰყავდა ლამაზი
სუთიანები.

ეს იყო პირველი რისთვისაც
სკოლაში ბრძოლა დასჭირდა. დირექ-
ცია წინააღმდეგი წავიდა ამდენი ხუ-
თიანისა. „ბავშვები ვერ გაიგებენ,—
ეუბნებოდნენ მას (მთავარი არგუ-
შენტი ეს განხლდათ), — ისინი ვერ
იტანენ ამგვარ გათანაბრებას“. მაგ-
რამ სწორედ ბავშვებმა გაუგეს. იმი-
ტომ, რომ დანატრებული იყვნენ შე-
ქებას. — სწორედ ეს სჭირდებო-
დათ, რომ ვინმეს თავზე გადაესვა
ხელი, ხუთიანები დაეწერა. სწორედ
ამიტომ იყო, რომ ყველამ დაიწყო
ხატვა — ვისაც როგორ შეეძლო,
ოღონდ, თვითონ დაეხატა. ემამ მო-
იგო ბრძოლა.

და ახლა იგი ყოველ სექტემბერს
ასე იქცევა.

მხოლოდ მოგვიანებით, ძალიან
ფრთხილად („ო, ბავშვებთან დიდი
სიფრთხილეა საჭირო“) მასწავლებე-
ლმა დაიწყო მითითება — რა გაეხ-
წორებინა თითოეულ მათგანს, რაზე
ემუშავა, რა გამოხდებოდა კარგად
ან უბრალოდ კარგად კი არა, ძალი-
ან კარგად, გადასარევედ. და ნელ-
ნელა მიაჩნია ბავშვები, რომ თითო-
ეულს „თავისი“ ნამდვილი ნიშანი
უნდა მიეღო — ვისაც რა ეკუთ-
ვნოდა.

და მაშინ მშობლები აჩანდნენ.
„ხატვა მეორეხარისხოვანი საგანია,
თქვენ კი ჩემს ბიჭს მთელი ნიშნები
გაუფუჭეთ!“ ემას ისევე დასჭირდა
ბრძოლა. ადგა და საშინაო დავალება
მისია ბავშვებს: „ჩემი მშობლების

პორტრეტი“. განა შეიძლება მეორე-
ხარისხოვანი იყოს საგანი, რომელიც
დედას და მამას აიძულებს, ორი
საათი გაუნძრევლად ისხდნენ პა-
ტარა მხატვრის წინაშე? და ემამ
ისევ მოიგო ბრძოლა. თუმცა, რა-
ტომ ემამ — გამარჯვებულნი მისი
მოწაფეები იყვნენ...

როინ. კამიამ, ემას ყოფილმა მო-
წაფემ, დღეს უკვე გალის სახლში შე-
ნებელი კომპინატის სამქროს უფ-
როსმა, მეოთხე კლასში ყველა თა-
ვისი ამხანაგის თვალწინ მასწავლე-
ბელს ამაყად უთხრა: „მე, თუ მო-
მინდა, პუშკინსაც დავხატავ!“ ემას
არც თვითონ გაუცინია, არც სხვებს
მისცა ამის უფლება. „სწორი ხარ,—
უთხრა ძალიან სერიოზულად. —
თუ მოინდომე, მართლა დახატავ,
სცადე“. ბიჭი ზედიზედ ოთხ სა-
ათს ხატავდა. გაკვეთილების შემ-
დეგაც დარჩა, დაბინდებამდე ხა-
ტავდა. მხოლოდ გვიან, როცა ბავ-
შვი სულ მარტო დარჩა, ემა მას-
თან მივიდა და დაუვავებთ, ძალიან
ფრთხილად უთხრა: „ასე ერთხელ
არაფერი გამოვივა, როინ, უნდა ის-
წავლო“. საღამოს, როცა დარაჯი სკო-
ლის კარების დასაკეტად მოვიდა,
როინმა ესიკვება აკრიფა და მასწავ-
ლებელს მიუტანა: — თქვენ მართა-
ლი ხართ, ემა-მასწ. ასე არაფერი გა-
მოვი. მე წავიგე“. წაღების შემდეგ,
როცა სამხატვრო აკადემია დაამთავ-
რა, როინ კამიამ თავისი ნამუშევ-
რები ჩაიტანა გალში და პირველი,
ვისაც ეს სურათები უჩვენა, ემა
იყო. „აი, ხომ ხედავ, — უთხრა ემ-
ამ, — ახლა შენ ხარ გამარჯვებული“.

ემა მულამ ფაქიზად ექცეოდა პა-
ტარებს, მეგობრობდა მათთან. და
უფროსებიც ზოგაერთამ ეს მისი
ხუსტი ხანისათვის გამოვლენებად მი-
იჩნია. ჩათვალეს, რომ ახალგაზრდა
მასწავლებელი მათთანაც მულამ ასე-
თი დარჩებოდა — რბილი, მეგობ-
რული, ყოვლის მიმტყვებელი. მაგ-
რამ ერთხელ პარტული კომიტეტის
სხდომაზე ემამ თავისი ერთ-ერთი
კოლეგა აშკარად ამხილა მექრთამე-
ობაში, ეს მოწმენდილ ცაზე მების
გავარდნას ჰგავდა...

უფროსებმა გაიგეს, დაინახეს,
რომ ემას მოჩვენებითი რბილი ხა-
სიათის მიღმა ნამდვილი ძალა იმა-
ლებოდა. ბავშვები? ბავშვებიც მიხ-
ვდნენ ამას.

ერთხელ ემამ თავის მოწაფეებს
სალაშქროდ წასვლა შესთავაზა. ბავ-
შვებმა უღიღესი უხედავობა გა-
მოიჩინეს: არ უკითხავთ, მერე
თქვენ სიარულს როგორ შეძლებთ?
არც მშობლებს უთქვამთ, რომ ეში-
ნოდათ, ბავშვები ენდოთ ქალისათ-
ვის, რომელსაც თავად უჭირდა სია-
რული. ისინი დეთანხმდნენ, ეგ კი
არა, ემას თხოვნით, იმერეც კიდევ
ბავშვებმა დედების სიმღერა ფირზე

ჩაწერეს. მერე ქალაქკარეთ ერთ მი-
ტოვებულ ეკლესიას მიაგნეს. იქ შე-
იხვეწეს და ფირი ჩართეს. დედების
სიმღერა ღმერთქალების გალობასა-
ვით დაირხა ტაძრის ბებერ კედლე-
ბში.

ახლა მას ყოველ გაზაფხულზე
დაჰყავს ბავშვები სალაშქროდ. ახლა
მას იმ ბავშვების შევლები მიჰყუ-
ბიან გვერდით, ხელს უწყვედად და
გორაკზე ასვლაში ეხმარებიან. ფიქ-
რობენ, რომ მას ეხმარებიან, თუმცა
სინამდვილეში თავის თავს უწყვე-
დს სანიმედოდ ხელს — იმიტომ, რომ
უფრო კეთილები ხდებიან. მათ უკ-
ვე მოიარეს შემოგარენი. ეს კა-
რავა, სხვა ქალაქებშიც იყვნენ. შარშან
ემამ ლენინგრადში წაიყვანა თავისი
მოწაფეები.

შემოდგომაზე კი სალაშქროდ და-
ლიან. შორს არა—სადღე ახლომასლო,
ჩაიში, ტყეში. შემოდგომას ხატავენ—
ყვითელ ფოთლებს, რუხ ცას, წვი-
მას. უმეტესად ნატურიდან ხატა-
ვენ. ემას ასე სურს: ყვავილები
ცოცხალ ყვავილებს უნდა ჰგავდეს,
ვაშლი — ნამდვილ ვაშლს; თვითო-
ნაც ხატავს ბავშვებთან ერთად. თუმ-
ცა არა, მარტო რომ რჩება, მაშინაც
ხატავს, ოღონდ იშვიათად თუ ვინმეს
უჩვენებს თავის ნახატებს. წერს სუ-
რათებს და უკვე აღარ იცის, სად
დააწყოს, შთაგონება კი არ ტოვებს.
და არ შეუძლია არ ხატოს. ოთახ-
ში ყველა კედელზე მხოლოდ ფე-
რები წვიმობს. ჩარჩოებში თითქოს
ცოცხალი ყვავილები თრთიან და
ფეთქავენ. მხოლოდ ვარდს დასცვენ-
ნია ფურცლები — ცრემლებივით.
პორტრეტები. ერთი მაინც გამოირ-
ჩევა სხვებისგან. გოგონას პორტრე-
ტი — ცისფერი, ლაჟვარივით ცის-
ფერი თვალები და ოდნავ, სულ ოდ-
ნავ სვედიანი მწერა. სინაზე და სიმ-
კაცრე ერთდროულად. ემას მწერა-
სავით...

ემას არასოდეს არ გამოუფენია
თავისი სურათები. არ ეცალა. თავი-
სი მოწაფეების ნახატები კი ყოველ
წელიწადს თვითონ ჩამოაქვს თბი-
ლისში. დაღის სხვადასხვა ინსტან-
ციაში, მოითხოვს, რომ ყურადღება
მიექციონ. ნახატები გამოფენებზე
გამოაქვთ და ემა ბედნიერია. თუმცა
ვერც ერთ ნახატზე, ვერც ერთ
ფურცელზე ვერ ამოიკითხავთ, რამ-
დენი შრომა და ძალა ჩააქსოვა ემამ
მასში, რამდენი სიმძნელი გადალახა.

თუმცა, სიმძნელე რას მიქვია? ემას
სიმძნელით ვერ გააკვირვებ. წლისა
ძლივს იყო, პოლიომიელიტით რომ
დაავადდა. დედა მოუკვდა. ბავშვის
გაზრდა უშვილო ბიძამ იტვირთა —
ალექსანდრე დემურია. ბიძა ფიზი-
კური ნაკლის გამო გოგონას შეღა-
ვათს არ აძლევდა, აიძულებდა, თა-
ვისი ძალის რწმენა ჰქონოდა. იგი მას
ცხენზე შესვამდა ხოლმე და ემა ყუ-
ლაზე სწრაფად მიპროვლებდა თავის

ბელაურს. ერთხელ ბუჩქებიდან კურ-
დღელი გამოუხტა. ცხენი დაურთხა
და ემა ძირს გადმოაგდო. მაგრამ ემა
მაინც არ შეშინდა, ისევ მოითხოვა,
ცხენზე შეესვაო.

ათი წლის წინ მოეჩვენა, რომ იმ-
დენს მაინც არ აძლევს ბავშვებს,
რამდენიც შეუძლია. უფრო სწორედ.
ყოველივე იმას არ ახწავლის, რაც
კი მას უნატრია და სწორედ მაშინ
შევიდა პედაგოგიურ ინსტიტუტში,
რათა დამთავრებისთანავე ხატვასთან
ერთად ქართული ენა და ლიტერატურა
ც ესწავლებინა.

ამ ორი წლის წინ ერთ-ერთ სკო-
ლაში კლასი ხელმძღვანელის გარე-
შე დარჩა. არავის უნდოდა, ამ კლა-
სისათვის ხელი მოეკიდა — არ იყუ-
ნენ მეგობრული ბავშვები, ჩხუბობ-
დნენ, კინკლაობდნენ, ცუდად სწავ-
ლობდნენ. ემამ აიყვანა ეს კლასი.
უკვე ორი წელია ხელმძღვანელობს,
და კიდევ უხელმძღვანელებს — სანამ
დაამთავრებენ. ახლა ეს კლასი საუ-
კეთესოა სკოლაში.

მე დიდხანს ვერა და ვერ გამეგო,
რა აიძულებს იცხოვროს ასე დაძა-
ბული რიტმით, ასეთ სირთულეებს
შეეჭიდოს, იბრძოდოს ბოლომდე, და-
უღალავად. არა, უსათუოდ უნდა ჩავ-
ხულიყავი გალში, მენახა მისი მო-
წაფეები, მენახა, როგორ დაჰფოფი-
ნებს მათ, როგორ ღელავს იმის გა-
მო, რომ ვიღაცამ გაკეთილები გა-
აცდინა, ვიღაცამ ორიანი მიიღო, ვი-
ღაც ავად არის, ვიღაც შეყვარებუ-
ლია, მშობლებს კი არ ესმით მისი...
და, რათა გაუგონ, ემა ამ ბავშვებს
ვერ მიატოვებს.

დავაბიჯებ შემოდგომის გადაყვით-
ლებულ ფოთლებში და ვფიქრობ: რა
ამბავია ახლა იქ, გალში, როგორ
არის ემა, რა სირთულეებთან აპი-
რებს შეჭიდებას? და მე მგონია,
რომ ახლა, ამ წუთში, იქა ვარ, იმ
პატარა ოთახში, სადაც ჰერზე წვრი-
ლი სისხლძარღვებივით დაქსელილა
ბზარები განუმეორებელ სურათე-

ბად იხატებიან: აი, გულზე ხელებ-
დაქდობილი ნაპოლეონი — ბრძო-
ლის ველს გაშურებს! აგერ, მაკე-
დონელი მიაჭენებს თავის ბუცი-
ფალს...

...მე მაშინაც არ მჭეროდა, თუ
მოვდიოდი, როცა მატარებელი და-
იძრა და ემამ მითხრა: „ნახვამდის!“
როცა წვიმა წამოვიდა და წვეთებმა
კაკუნი დაიწყო ფანჯრებზე: როცა
გამცილებელმა ბილეთი მომთხოვა
(„ღმერთო ჩემო, რა პროზაა!“). ჯერ
კიდევ შეჩვენებოდა, რომ ისევ იქა
ვარ, გალში, ემასთან, მის მოწაფე-
ებთან, მის სურათებთან, ყვავილებ-
თან...

მატარებელი მიდის...
...წყალი წვეთავს — მოსულა
წყალი! ჭურჭელი უნდა აავსოს...
წვიმის წვეთები ფანჯრის მინებს
მოაყვება და წკაპუნთ ცვივა ია-
ტაკზე...

რა ვუყოთ, რომ წყალი მალე
შეწყდება, წვიმა კი არა.

რომ კახამ ორიანი მიიღო... რომ
ლია ჯერჯერობით ვერ ხატავს კარ-
გად, ეგ არაფერი...

რა ვუყოთ, რომ პოლიომიელიტი
ზოგჯერ არ რჩება.

რომ ოპერაციამ შედეგი ვერ გა-
მოიღო, თუმცა ძალიან რთული კი
იყო...


რომ ახლა მთელი ცხოვრება ჯო-
ხით უნდა იაროს. მერე რა მოხდა?
ღიახ, მისთვის მაინცდამაინც იო-
ლი არ არის ცხოვრება.

იქნებ, ჯობს მიატოვოს ყველა-
ფერი, იქნებ ასე უფრო იოლი იყოს?
მაგრამ, თუ ერთხელ შეიყვარე
ბავშვები,

თუ მიხვდი, რომ შენ მათ სჭირ-
დები,

რომ შენ მასწავლებელი ხარ —
ემა მასწავლებელი?

როგორღა მიატოვებ?
...გუშინ ხატვა დაეწყო.



„დროის“ პეიზაჟებსა უპეიზაჟებსა

არჩილ შიშვანაშვილი

რა მზიან დროშებსა ჰქარბავს

ზვირთებად იქცა ზამთრული
ყინულის ჩაჩქან-ჩაფხუტი,
რა მზიან დროშებსა ჰქარბავს,
რა ვაშად გაგვიწაფხულდის...

ველი ყამარის კაბაა,
მთა — ამირანის ნახატი.
ქმნის და ამღიდრებს ბუნება
შენივთულ წყვილთა ლაღადის...

წვა ღირს... არ დანახშირდება,
ნურც ღრანტებში დაზრები!
სჭირდება სიბრძნე-სიწმინდეს
შუქი ახალი ტაძრების...

ჩოქით მოსული სახატეს...
ვარ ამის შემომთხოველი:

ახალ სიყვარულს შეუმე
ახალი სვეტიცხოველი...

მჭერა, ეს შინაარსი აქვს
ტინზე ჩანჩქერთა კილილსა.
მგონია, ამას გულისხმობს
კლდეებში ფრენა ჯიხვისა,


რიჟრაჟზე ხობის ყვილი,
ტოტგაშლილობა მუხისა.
ტრფობა სხივის და ეთერის
ვინ ხად ჩათვალა უღირსად!

ბაღებში ატმის ღიმილი,
ტყეში — თვლები შვლებისა,
ბუჩქნარ-ველები ყვავილთა
ეშხით რომ გაივხებისა,

ვარსკვლავთ უიკუიკი, ჩიტთა ხმა,
მოდზე ცვარ-ნამის სხურება,
ღღის მადლი, მთვარის ნარნარი,
რა ძაღებს ემსახურება?!

სოფელი ივალთო

ისევ უკუნძულს საქართველოში...



ნანა ლორთქიფანიძე

ფილოლოგიური მეცნიერებათა კანდიდატი

1909 წელს კავკასიის სტუმრებია პერცივინია დე როანი, რომელსაც ერთი წლის შემდეგ პარიზში გამოუცია წიგნი „კავკასიის მანდილოსნები“. წიგნი მიძღვნილია სალომე მოურატიანს, რომელმაც შეუდარებელი სინაზით შეუღო თავისი მშვენიერი კავკასიის კარიბჭე ამ ფრანგ ქალს. როგორც წიგნიდან ჩანს, დე როანი, მარკიუ დე ვერტიკაის ქალიშვილი, სალომე დადიანის ვაჟის, ლუსიენ მიურატის სიდედრი ყოფილა. დე როანი თავის ქალიშვილთან, ლუსიენს მეუღლე — მარისთან ერთად გამოგზავრებულია პარიზიდან საქართველოში. საგულისხმო ფაქტია, რომ ამ ფრანგი ქალის მოგზაურობის მიზანი მხოლოდ საქართველოს, მისი დედაქალაქის ღირსშესანიშნაობათა დათვალიერება როდი ყოფილა, იგი დამკვირვებლის, მეცნიერის თვალთახედვით სწავლობდა ყოველ მოვლენას, ფაქტს. ავტორი ისე ღრმად მხკვლივს საქართველოს ისტორიის, ეთნოგრაფიის, ფლორის, ფაუნის საკითხებზე, რომ გვიკვირს, როდის მოასწრო დე როანმა ამდენი ინფორმაციის დაგროვება.

ერმინი დე როანი პოეტურად აღწერს თბილისის სილამაზეს, ყვავილებით მორთული აივნები, იშვიათი სიტურფის ბაღები, სუფთა ქუჩები, ქაშანურით მოპირკეთებული ორბელიანის აბანოები, ინტენსიური მოძრაობა — საოცარ სიციცხლეს ანიჭებს თბილისს, კავკასიის მარგალიტს, როგორც მას უწოდებს ავტორი. წიგნი აღწერილია თბილისის ისტორია, მოცემულია მის წარმოშობასთან დაკავშირებული ლეგენდა. ნახსენებია თემურლენგი, სპარსელების 1795 წლის შემოსევა, ქებითა მოხსენიებული საქართველოს ოქროს წლები — თამარის მეფობა, ავტორი ახსენებს მის ისტორიკოს მისე ხონელს, პოეტებს შვეთელს, ჩახრუხაძეს, სარგის თმოგველს, შოთა რუსთველს.

საფრანგეთიდან ჩამოსულ ქალებს სადგურში დახვდებოდა ლუსიენ მიურატი, ღია ყავისფერ ჩოხა-ახალუხში გამოწყობილი. დე როანს ძალიან მოსწონდა სიძის ტანზე ეს ეროვნული ტანსაცმელი და აღნიშნავდა, რომ იგი გაცილებით უფრო გრაციოზული იყო, ვიდრე ევროპული პიჯაკი და ცილინდრი. ლუსიენს მეუღლე და სიდედრი სასტუმროში მოუწყვია. სანამ მარი სტუმრად იმყოფებოდა მთავარპარტების — ვორონცოვის ცოლთან, დე როანს თბილისი დაუთვალაირებია. საღამოს სწვევიან თავადის ქალს — ლიზა ორბელიანს, ფრანგულ ენაზე ლემონტოვის „დემონის“ მთარგმნელს.

დე როანი მოხიბლულა კორის სილამაზით, სადაც იგი სასტუმროს

პატრონთა თანხლებით ასულა. წიგნის ხეების ხეივანში სეირნობისას ჩემი თავი მედონში მეგონაო — წერს იგი. სამეგრელოში გამგზავრებამდე ფრანგ სტუმარს გულდაგულ შეუსწავლია სიონის ეკლესიის მონასტულობა. იგი აღფრთოვანებით ლაპარაკობს ქართული კულტურის ძეგლებზე, ხოტბას ასხამს რუსთველს, მის სიბრძნეს და „ვეფხისტყაოსანს“ პოპულარობით „ფაუსტს“ და „კამილეტს“ ადარებს. დე როანი იხსენიებს ნიკოლოზ ბარათაშვილს, გიორგი ერისთავს, მეფე ერეკლეს რელიგიურ და პატრიოტულ ოდებს, დიმიტრი თუმანიშვილის პატრიოტულ სიმღერებს, გრიგოლ ორბელიანს, „ცინას“ ქართულად მთარგმნელს ალ. ჭავჭავაძეს. დე როანს ფრანგულად უთარგმნია აკაკის ლექსი „სიყვარული“ და ილია ჭავჭავაძის პოემის „რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი უჩაღის ცხოვრებიდან“ ნაწყვეტი, რომელიც დაუსათარგმნია „მწუხრი ალაზნის ხეობაში“. როგორც ჩანს, პოემის შესავალმა მოხიბლა იგი ბუნების სურათის მშვენიერი აღწერით. ამ თარგმანს მოსდევს კიდევ ორი თარგმანი სოლომონ ლეონიძის სიტყვისა ერეკლე II გარდაცვალებასთან დაკავშირებით და რაფიელ ერისთავის „სამშობლო ხევსურისა“.

სამეგრელოში ჩასულ მარის და დედამის დილის ათ საათზე დახვდათ ეროვნულ ტანსაცმელში გამოწყობილი ცხრა წლის აზილ მიურატი და ორმოცდაორი ცნენისანი. თორმეტი საათისთვის უკვე საღიზნოს სასახლეში ყოფილან. სასახლის თავზე საფრანგეთის დროშა ფრიალებდა. სტუმარი გულთბილად მიუღიათ სალომეს და მის ქალიშვილს ანტუანეტას.

დე როანი დიდი პატივისცემით იგონებს ეკატერინე დადიანს, სამეგრელოს უკანასკნელ დედოფალს, რომლის ქალიშვილი, სალომე ცოლად გაჰყვა 1868 წელს აზილ მიურატს. ავტორს მოჰყავს ამ ქორწინებისადმი ანტი კამარტენის მიერ მიძღვნილი ლექსი, რომელიც ადიდებს ამ ორი დიდებული გვარის წარმომადგენელთა კავშირს. სალომესა და აზილის უფროსი ვაჟი ლუსიენი (დე როანის სიმე) დაბადებულია ალფირში 1870 წელს. ლუსიენის გარდა სალომეს კიდევ ორი შვილი ჰყავდა: ნაპოლეონი და ანტუანეტა. სალომესა და მის ქალიშვილს საღიზნოს სასახლეში დაფუძნების შემდეგ სოფლის მეურნეობისთვის მიუყვიათ ხელი, 150 მუშის დახმარებით მათ გაჰყავდათ გზები, აშენებდნენ სკოლებს, ხიდებს, ეკლესიებს, ხალხს კეთილდღეობისთვის ზრუნავდნენ. ნაპოლეონ მიურატს მონაწილეობა მიუღია რუსეთ-იაპონიის ომში, საიდანაც დი-

დებით მოსილი და ნაიარევი დაბრუნებულა.

დე როანი სიმბათიურადაა განწყობილი ქართველებისადმი, კერძოდ კი სამეგრელოსადმი. ამ უბრალო, გულითად ხალხზე ბევრი საქმეობრი სიტყვა უთქვამთ მისთვის ქალიშვილს მარის და სიძეს — ლუსიენს. სამეგრელოში იმჟამად დე როანის ცნობით 200 000 მცხოვრები ყოფილა, ტანად მშვენიერნი, წერტილი არიან, მამაკაცებს წვრილი, მოქნილი წელი, პატარა ფეხები და ხელები აქვთ. კბილებამდე შეიარაღებულთ ჩოხა-ახალუხი განსაკუთრებულ ბრწყინვალეობას ანიჭებს. ქალების ხმა ტკბილია, ჰარმონიული. მოხდენილად, თავზიანად ლაპარაკობენ. მეგრელი ქალი არასოდეს ხელკავს არ გაუკეთებს ქმარს და სახელით არ მოიხსენიებს მას. ჩემი შვილები მის მამა, ამბობს ის, როცა ქმარზე ლაპარაკობსო, — წერს დე როანი. ფრანგ სტუმარს თავის წიგნი მოუთავსებია ქუთაისში გადაღებული მეგრელი ქალის სურათი. მეგრელთა ცხოვრების წესის საფუძვლიანი შესწავლის შედეგად ავტორი შემდეგ დასკვნას აკეთებს: მართალია, წერს იგი, განათლებამ საგრძნობი კვალი დაამჩნია ქვეყნის განვითარებას, მაგრამ სამეგრელო თავის წეს-ჩვეულებებით, ადათით, გემოვნებით, ოცნებითაც კი, აღმოსავლურ ქვეყნად რჩება. ეს ოცნება გამჭრიახობით, შთაშვებდავი გრძნობიერებითაა ხავე. ამის დასტურად ფრანგ სტუმარს მოჰყავს მეგრული ზღაპრები.

ზღაპარი პირველი: ქმარმა ცოლი მიატოვა და ულამაზეს ტყის ფერიასთან ცხოვრობდა. ერთ საღამოს პატიოსანმა და ღვთისმოსავმა ცოლმა სასიძინდელში თავისი თავქარიანი ქმარი ფერიის ფეხით ნახა ჩაძინებული. საბრალო ქალმა სახლიდან წამოიღო ქოთინი რაჟ, ფერიას თმები დაბანა, ქოთანი დაუტოვა და შინ დაბრუნდა. ამგვარი სტუმართმოყვარეობით მოხიბლულმა ფერიამ მიატოვა მიწათმოქმედი და ამიერიდან ქმარი საბოლოოდ დაუბრუნდა ცოლს.

ზღაპარი მეორე: (ნაკლებ სასიამოვნო არა მარტო მეგრელი, არამედ ყველა ქალისათვის). იყო და არა იყო რა, რომელიღაც სამეფოს, რომელიღაც ქვეყნის ერთ-ერთ სოფელში ცხოვრობდა ერთი ობოლი, ისეთი ღარიბი, რომ ცხა და დედამიწას შუა არაფერი ებოდა. ამგვარ ყოფაში იყო დღეს, ამ კვირას, მომავალ კვირას, მომავალ თვეს. დანაღვლიანდა და ფიქრს მიეცა. იფიქრა, იფიქრა, „ფიქრა და ბოლოს გადაწყვიტა: წავალ, ბედს ვეწევიო. დილით ადრე

ადგა, ღმერთი ახსენა, წალბა დაბრუნდა და გზას გაუდგა. ერთ კეთილ კაცს შეხვდა, მოგზაობაზე დაუდგა და სამი წლის განმავლობაში გასამრჩელოდ სამი დარბევა მიიღო. პირველი წლის ბოლოს კაცმა უთხრა — თუ მაინცდამაინც არ ჩაგაცივდებიან, თორემ ისე არავის არაფერი არ ათხოვო. მეორე წლის ბოლოს ახწავლა — რაც არ უნდა იპოვო, აიღე და შენს ეშოში ჩააგდე. მესამე წლის ბოლოს — არასოდეს საიდუმლოება ცოლს არ გაანდო.

შინ დაბრუნებისას, ღარიბმა კაცმა გზად წითელი გველი დაინახა, აიღო და თავის ეშოში ჩააგდო. გველმა კვერცხები დასდო, კაცმა მათ საბუდარში მიუჩინა ადგილი და შინ შეიტანა. მალე ღარიბი გამდიდრდა, მაგრამ ცოლმა საიდუმლო გამოცხადო. იგი, უბედურებაჟ მთელი ქონება დაკარგა. შემდეგ ამხანაგს დანა ათხოვა. ამ დანით ამხანაგმა იგი სიცოცხლეს გამოასალმა.

დე როანს ლუსიენი უთარგმნია ფრანგულ ენაზე ზღაპრებს. ლუსიენი თავისუფლად ფლობდა ექვს ენას: რუსულს, ქართულს, ფრანგულს, გერმანულს, ინგლისურს, იტალიურს. ფრანგი სტუმარი განსაკუთრებით მოხიბლულა მეგრული სიმღერებით და ლექსებით, მას არც გამოცანები და ანდაზები დარჩენია უყურადღებოდ. აი, ზოგიერთი მათგანი:

გარეული მოვიდა და შინაური გააგდო.

მეგრელი რომ ცხენზე ჯდებოდა, ღმერთი ავიწყდებოდა.

წინ მიდის და უკან იყურება.

ერთი პატარა ქოთანი ქვებით არის ხავენი.

ოთხ ძმას ერთი დროშა ფარავს.

პატარა პირსახოცი სულ სველია.

ნაკალაქევი ერმინი დე როანს მოუხანაღლებია ორმოცი წამებულის ეკლესია, მარტვილის მონასტერი, დადიანების საძვალე, წალენჯიხის ეკლესია. ფრანგი ქალი სიამოვნებით აღნიშნავს, რომ ლევან დადიანს, ეკატერინე ჭავჭავაძის მამამთილი, დიდ ყურადღებას აქცევდა ეკლესიების დაცვას. ახალსენაკის მახლობლად მდებარე ეკლესიაში, წმინდა გიორგის სატყე, რომელიც გაუძარცვიათ და დაუზიანებიათ, იკითხება: „მე, ლევანმა შევიყარ და დახსაჯე მტრები, ვინც ააოხრა ეს ეკლესია და აღვადგინე სახე შენი. ილოცე ჩემთვის და ჩემი თანამეცხედრე ნესტან-დარეჯინისთვის“.

მარტვილის ეპარქია ცნობილი ყოფილა თავისი მეცნიერებითა და გადამწერებით. მეგრელები, რომელთაც სწავლა-განათლების მიღების დიდი სურვილი აქვთ, უწინ ეკლესიაში და მონასტრებში სწავლობდნენ,

— წერს დე როანი, — ახლა კი ხალხი 150 ბავშვს სამი მასწავლებელი ჰყავს, ზუგდიდსა და ახალ სენაკში მძღვენიტი სკოლა, ამასთანავე ზუგდიდში ერთი საშუალო სკოლაა. ფრანგი სტუმარი დინტერესებულა სამეგრელოს სოფლის მეურნეობითაც. იგი აღნიშნავს: მიწა აქ ნაყოფიერია, თესლი მეთვით დღეს აღმოცენდება, მოსაყვით სიმინდი, რომელიც ორი-სამი მეტრი სიმაღლისა იზრდება, მცირე რაოდენობით თამბაქო, თუმცა მეგრელები არ ეწევიან (ხალომესა და ლუსიენის გამოკლებით), კანფი და ხელი. დიდ შემოსავალს იძლევა დაფნა. ყველაფერი ეს ექსპორტში გადის... მეგრელები მისდევენ მეაბრეშუმეობას. აბრეშუმის ქიის პარკს ხახლში ამუშავებენ. ვისაც ეს არ შეუძლია, თეთრ, ყვითელ, მომწვანო პარკებს ლიონელ კომივიოაჟერებზე ყიდიან. მათ ეს ძვირფასი ნადავლი საფრანგეთში მიაქვთ.

დე როანს შეუსწავლია სამეგრელოს გეოლოგია, მინერალოგია. მას უსლენის მუზეუმისთვის შეუგროვებია წითელი აღმოსავლური პორფირი, ლურჯი პორფირი ყვითელი, წითელი და თეთრი ლაქებით, მუქი წითელი, ღია ვარდისფერი, ნაცრისფერი, ქარსში შერეული ცისფერი გრანიტი, შავი ბაზალტი, თეთრი, მოყვითალო ალიბასტრი, მწვანედ დაწინწკლული მუქი წითელი და თეთრი მარმარილო, სპილენძის, რკინის, ტყვიის, იასპის მადნის ნაჭრები.

ფრანგი ქალი აღფრთოვანებულია იმ სტუმართმოყვარეობით, რომელიც ქართველ ხალხს ახასიათებს და რომელიც ასე ნათლად იგრძნო სამეგრელოში. გლეხის ოჯახში მისულ სტუმარს ფეხს დაბანავს, საუბრისთვის კერძით უმასპინძლებიან. მაქმანიან თეთრეულს გააღუფარებენ. დამით გოგონები ჩონგურს უკრავენ და მღერაინ, რომ სტუმარს ტკბილად დაეძინოს. წასვლისას კარგა მანძილზე გააცილებენ. დე როანი სტუმრებშია მეგრელი გლეხის ოჯახს, მოუნათლავს მათი სამი წლის ვაჟი. ფრანგი სტუმარი აღფრთოვანებით ლაპარაკობს ქართულ სუფრაზე, ლამაზად ლაპარაკის ნიჭით დაქილდობულ ქართველებზე, ტკბილ სიმღერებზე, რომელთაც იგი ძველ ფრანგულ ეპოპეას აღარებს.

„ქალიშვილო, მომართე შენი ჩონგური და იმღერე! მე ვერ ვიმღერებ, მელა (მტერი) კართანაა, ჩემი ცრემლები დაასველებს ჩონგურის სიმებს, ხმა დამეგულდება! უი ჩვენს მტერს! ვაშა ჩვენს ხალხს!“


დე როანი დაწვრილებით აღწერს სამეგრელოში ნიშნობისა და ქორწინების ცერემონიას. ნიშნობისას, — წერს იგი, — ქალი მშობლებთან ერთად ოთახშია და ელოდება ვაჟის მოსვლას. მოდიან სახიძის მშობლები და მამა ოფიციალურად ითხოვს ქალის ხელს. თანხმობას იღებენ და ამის შემდეგ ორივე მხარე სამჯერ მიესალმება ერთმანეთს. სასიძოს მამა სარძლოს თითზე ბეჭედს უკეთებს და საჩუქრად ხატს და ქარვის

კრილოსანს მიართმევს. ქორწილს ხანდახან სამი წლის შემდეგ იხდიან სიძის ოჯახში. სიძის მშობლები და მეგობრები მიდიან ქალის მოსაყვანად. მიაქვთ უამრავი საჩუქარი. რძალს დედამთილი. შაქრის ნატებს შეახებს ტურქებზე, ბედნიერებას და სიტკბობას უსურვებს. გლეხებთან საქორწილო მაყრიონს უკან მწითელი მოყვება. თუნუქით მოვარაუებული სკივრები ხავსეა პატარძლის მიერ შეკერილი სახნებით, ლეიბებით, მუთაქებით, ზეწრებით. პატარძალს ოთახში შეიყვანენ, მორთავენ და ეკლესიაში მიდიან.

მეგვარეს, რომელიც შემდეგ ოჯახის უახლოესი მეგობარი ხდება, მექორწილეთა თავზე გვირგვინი უჭირავს, ეკლესიაში ნეფე-დედოფალს ფეხთქვეშ აბრეშუმის ვარდისფერ ხალიჩას უფენენ. მექორწილებს კედელზე მიყრდნობა აკრძალული აქვთ, ეს უბედურების მომასწავებლად ითვლება. მშობლები ნეფე-დედოფლის ხელში ანთებულ სანთლებს გაფაციცებით შესცქერიან. ვისი სათელი გვიან ჩაქრება, ის მეტხანს იცოცხლებს. ეკლესიიდან გამოსვლისას ახალგაზრდებს ულოცავენ, მღერიან, თოფს ისვრიან და შემდეგ მიუსხდებიან საქორწილო სუფრას, პატარძალს კალთაში შვილი, რვა წლის ბიჭს ჩაუგორებენ. ნეფე პატარძლის გვერდით ზის და მილოცვებს იღებს. კარგა ხნის შემდეგ იგი დგება და ტოვებს სუფრას. პატარძალი თავდაბრილი ზის და ელოდება ხანშიშესული ქალის (ოჯახის ახლობლის) მოსვლას. ამ ქალს იგი მიჰყავს დედამთილ-მამამთილთან ერთად მაგიდასთან, რომელსაც მხოლოდ ქალები უხსებდნენ. იგი პატარძალს მარჯვნივ მიუჯდება, მარცხნივ კი ყველაზე უფრო ქალს დაუსვამს. იწყება გაუთავებელი სადღეგრძელოები, მღერიან მრავალხმიანად. ქორწილი მთელ დამეს გრძელდება. პატარძალი არც ჭამს და არც იცინის. დამით მოხუცი ქალი პატარძალს პირბადეს ახდის და საქორწილო ოთახში მისი გაყვანის ნებართვას ითხოვს. იქაც სუფრაა გაწყობილი. პატარძალს დააწვენენ. მოდის ნეფე, რომელიც ხელში ფულს უდებს მოხუც ქალს. გამთენიისას ნეფე დგება და საწოლში ფულს ტოვებს. ერთი კვირის თავზე ეს ოჯახის ახლობელი ქალი, უხვად დასაჩუქრებული მიდის თავის ოჯახში.

ერთი წლის განმავლობაში ახალგაზრდა ცოლ-ქმარი მშობლების წინ არ სხდებიან, მოწიწებით, მორიდებით ეპურებიან მათ. ზოგიერთი ახალგაზრდა თავს არიდებს ამგვარ ცერემონიებს და იტაცებს ქალს. თუ მოტაცება ქალის თანხმობით ხდება, მშობლები ურიგდებიან შვილებს. სხვა შემთხვევაში ორ ოჯახს შორის მტრობა ისადგურებს.

დე როანი, აღწერს ქართულ ქეიფს და აღფრთოვანებით აღნიშნავს: მეგრელებს ზომიერების დიდი გრძნობა ახასიათებთ, ამავე დროს ისინი მეტად მუსიკალურნი არიან. აქ ვერასდროს შეხვდებით მთვრალ, უხეშ, უზრდელ კაცს... ეს ხალხა



გასაოცრად დახვეწილი, გრძნობიერი, კეთილშობილი და მოხდენილია, თვით ბეჩავ გლეხსაც კი თავადურა ქცევა აქვს. განსაკუთრებით მოხიბლულა დე როანი იონა მეუნარგიას პიროვნებით. ზუგდიდში გამგზავრებულ ფრანგ სტუმარს გზად დახვედრია იონა თავისი ცოლ-შვილით, თაიგული მიურთმევია მისთვის. სტუმრებისთვის შეხვედრა მოუწყვიათ ქალაქის წარმომადგენლებს დათა კარტოვიას მეთაურობით და ერმინისთვის უსახსოვრებიათ ძველებური ძვირფასი ჯვარი. იონა მეუნარგია ერმინის მორღუ გამხდარა, ისინი დამოხიბლებულან. ის ძალიან განაულებულია, ბევრს წერს, კითხულობს, გონიერი საუბარი აქვს და, რაც მთავარია, უყვარს და იცის სხვისი მოსმენა. იონა პოეტ აკაკი წერეთლის მეგობარია. ეს დიდი პოეტი, ფრანგების მეგობარი, ხშირად ჩამოდის პარიზში, — წერს ფრანგი სტუმარი. ერმინი დე როანს ღირსეულად

დახვედრიან სოფელ ჭკალაუში. მიურთმევიათ პური, მარილი და ქრისტეს ხატი. შემდეგ ეკლესიის გვერდით, ცისფერ პორტენიებს შუა, მოუნახულებიათ აშილ მიურატის (ხალომეს მეუღლის) საფლავი. სამეგრელოდან დე როანი ბათუმს გამგზავრებულა, იქიდან ქუთაისს ჩასულა, გელათის მონასტერი მოუნახულებია. შემდეგ მოწამეთას სტუმრებია. საქართველოში ერთი თვის მოგზაურობის შემდეგ დე როანი ერევანს გამგზავრებულა, იქიდან ყირიმში, კიევიში, ოდესაში, რუმინეთში და მხოლოდ ხანგრძლივი მოგზაურობის შემდეგ დაბრუნებულა საფრანგეთში. ერმინი დე როანმა, რომელსაც ქართველ ხალხთან დიდი სიყვარული და ნათესაურა გრძნობა აკავშირებდა, თანამემამულეებს ხატოვანი ფრანგული ენით გააცნო საქართველო, ყოველივე ხაყურადღებო, რაც მან ამ პატარა და ზღაპრულ ქვეყანაში ნახა და ჩაიწერა.

სხეულები ქრონი



„უკვირების ქვეყანა, ჩოქვით შე-
მოვიარესა“ და სამართებლის პირი-
ვით აღესილ ზამთრის ქართან ერ-
თად ჯერ ორღობის თავიდან გამოზ-
ლადუნდა, მერე ალაგეზე გადმო-
ბობდა, უნვისგან გახრიგინებული
ეზოს ბილიკი ბანცალით გამოინაბი-
ჯა, კარაპინთან აქანავდა და, ბო-
ლოს, ხელმარცხიანად შემოახეთქა
კარი.

ბიკი მაშინვე ყავრის ნაჭერზე შე-
მოდგმულ ჭრაქის ლამპას მისწვდა.
დედინაცვალმაც მიატოვა ღორის
გაბერილ ნაწლავებში საკუბატე
კუჭმაკის ჩატენა...

„რომ მითხარი, მოვალო, რატომ
დაიგვიანე...“ — როგორც იქნა ბი-
კის დახმარებით გადმოაბიჯა კაცმა
ზღურბლს.

— იმდრე, იმდრე, რა გენაღვ-
ლებია! დილას ერთი ბურჯაკი მიხბრ-
ჩვე და გადვიკარგე მერე, ქალს
შემატოვე ასალორავ-დასაშაშხავად.
მე შენ გეტყვი და მომხმარე მყავდა
ვინმე, — მოწამლა ქალმა შევიღზე
ხელგადახვეული შელხინებულნი.

— შენ ამ ბიკს მოეშვი, სერგია
სანიკიემს აქვს სიცოცხლე, თვარა!..
იცი შენ, ამას რაფერი დედა ყავ-
და?.. ვაი, შენს პატრონს უბედურს!
— ახანცალეხულ მამას ბიკმა ტაბუ-
რეტი შეაშველა, — ეხ, წვევიდა ჩე-
მი საქმე ასე და, რა ვქნა ახლა...

ბიკი წინკარში გავარდა, ერთი ილ-
ლია ნაპობი კობტი შემოიტანა და
ბუხარს შეუკეთა.

ერთხანს მერდზე ნიკაპიბიჭენილი
კაცი აბრიალებულ ცეცხლს ქვეშ-
ქვეშ, ელმად მისჩერებოდა.

— მამა, დამანებე ფეხი, გაგზდი
ჩემქმებს, — ჩაცუცქდა ბიკი.

— თანდილიე ციგანის მუჟიკაზე
ვეჭიფობდი, — თავის შესამაგრებ-
ლად ბუხარის სვეტს ჩასკიდა კაცმა
ხელი და მუხლი გამართა, — მისი
ძმაც მევინდა მერე, ოთიელე... კაი
მამაძალეხი კი არიან. მარა, ეს სიმ-
ღერა და ქეიფი ექნენ მაგენისთანა
არვივინა იცის და გლახები უმახე
შენი.. — ბიკის მიერ დაქაჩულ
ფეხს რომ კინაღამ გაყვავა, შეფუც-
ხუნდა, — ნელა, ბიკო, მოიცა!.. არა
ძრობა ხომ? ფუი! კაი, კაი, მე
რომ გასწავლე, ახლა ისე ქენი, თვა-
რა ამახნა ფეხი და ეგია. მაინც, რა-
ვა ხარვითა გაქ ღონე, შე ვირიკე-
ლა, ა?

აქოშინებული, სიმწრისოფლგადა-
მსკდარი ბიკი წამოდგა, შენელთბი-
ლებული წყალი და საპონი მოიტანა

და მამას ტაშტში ფეხები ჩაყრე-
ვინა.

მერე ოყოჯიროს ფეხმიდგმული
კარგახანს ქაჩავდა დამბალ-გასაპ-
ნულ ფეხსამელებს. როდის-რო-
დის წაშვლია და შორიხლო მი-
აწყო გასაშრობად.

— მამა, პოლშუბკას არ გვიხდი?
— აბა, რა მუდრეგად მინდა ტა-
წე!

— უჰ, ბევრი დავლიე, ხომ იცი,—
ლიღებს დაუწყო ფათური კაცმა, —
ისე, კაი ქეიფი კი იყო, მე და ჩემმა
ღმერთმა.

— ქეიფი აწი ნახე შენ, მედო-
ლის ძენა არ დაგჭირდება, — ჩა-
აირონიულა ქალმა.

— რაის დოღზე და მედოღზე
ლაპარაკობ შენ? — აფრუტუნდა კა-
ცი.

— ე, მაგაზე, სარგადაუკლაპული-
ვით რომ დაგდგომია თავზე.

მუხლებეკანკალეხულ, მკლავებჩა-
მოყრილ ბიკს მამამ კისრისყანყა-
ლით ამოხედა.

— აძლიე ფულები, კიდე აძლიე,
აწი არღანს მოგიტანს და გადვიკი-
დეთ მერე ორივე მამა-შვილმა ფხა-
რზე და იარეთ აღმა-დაღმა. მე შენ
გეტყვი, წიგნის და რვეულის ყიდ-
ვით არ იკლავდეს თავს.

— მართლა, ბიკო, კოტელია? —
აღტაცება ვერ დაფარა კაცმა.

— ჰო, მართლა..

— მაჩვენე, აბა, ერთი?

ბიკმა საწოლის ქვემოდას წით-
ლად შეღებილი დოლი გამოაბრიგინა.

— ვის გამოართვი, ბიკო?

— ზელიმხანა მესაცრიას.

— რავა მოცვა?

— ოცად.

— არაა ძვირი, ხომ იცი შენ?..
მოკიბე აბა ერთი!

ბიკი ჯორკოზე ჩამოჯდა, ჯიბიდან
ცხვირსახოცი დააძრო. შეგრიხა. ნე-
რწყვით დაასველა, გარაზე დახლარ-
თულ თოკებში გაატარა და ორივე
ხელით დაქაჩა.

— ახლა, ცეცხლზე შეაფიცხე, —
ურჩია კაცმა, ბიკი რომ „მოკიბ-
ვას“ მორჩა.

— ე, მასე... შემოჰკარი, აბა, რა-
ცხა?

— მაინც, რომელი?

— არჩევანში ხარ, ხომ?

ბიკმა გაიღმა და თავი ჩადუნა.
„თელავო, შენ კახეთის გული
ხარ. ლამაზი და მუდამ მხიარული
ხარ...“ წაიღიღინა კაცმა და ბიკმაც
მაშინვე რიტმულად მიუკაქუნა თი-
თები ცხვირისა თუ თხის გახრიგინე-

ბულ ტყავზე. მერე, არც აცია, არც
აცხელა, ღლინს გაუბედავად შეუ-
ფინა თავისი წყრიალა ხმა..

და როცა ჰანგებს მუხლი გაამარ-
თვინეს, მოაღონიერ-მომამლაკრეს, გა-
აკერკეტეს და ხმართაფულულად ჩა-
ამთავრეს, მამა-შვილმა ერთმანეთს
გაუღიმა.

— სად ისწავლე და ვინ გასწავლა
დაკვრა, შე მამაძალე, ა?

— სკოლაში მერხზე, სახლში სკა-
მზე... ისე, ჩვენი პატეფონიც დამ-
ეხმარა...

— უჰ, შენ კი გენაცვალე, ჩემო
მუტრუკო! — დოლიანად ჩაიგუნ-
დავა კაცმა ბიკი მკერდში, — მამა-
შენის შვილი ხარ, აბა?! „ვეჯალისა
გზატკეცილო, კარგი ხარ...“ — მი-
დი, კოტე, შეუბერე!

ის-ის იყო, მორიგი მოდური სიმ-
ღერაც ბაგემადლიანად ჩამარყუტ-
ჩაგვირისტინეს, რომ შეფხიზლებუ-
ლი და გრძნობამორყული კაცი სკა-
მიდან წამოვარდა:

— ქენია! ჩქარა, პურ-მარლი,
ვეჭიფობთ!.. ხომ არ გავიწყდება,
ხუთი წელიწადი რომ მინდიაშვილის
გუნდში ვმღეროდი? პირველი მესა-
ლამურე ვიყავი, მაშ! ვეჭიფობთ!..

— არც ბახილაშვილის გუნდი იყო
იმ დროს ნაკლები, პირველი მე-
ფანდურე ვიყავი! — გაიკეკლუკა
სუფრის გაშლით გართულმა ქალმა.

— ჰოდა, აბა, შენი ფანდური,
კოტეს დოლი და ჩემი... ჩემი... —
თვალეხი დახუტა, კბილები გახბრქი-
ალა და ბეჭებში მოხარა ენადაბ-
მული კაცი... სად არის ჩემი სალამუ-
რი? — როდის-როდის ამოიჩურ-
ჩულა.

ქალი და ბიკი გაშტერდნენ.

— სად არის-მეთქი, გეკითხებით!
— რა იყო, ბოშო, რამ გადაგრიხა,
მოვნახავთ, — ხელები გადაიბანა
ქალმა.

კარგახანს იფათურა, სანამ მივიწ-
ყებულს მონახავდა.

— ეჰ, რამდენი ხანია, ხელი არ
მომიკიდი, — ჩაბერა მელოდის
კაცმა ლერწმის დერში, — იმ დღი-
დან, მისი წასვლის დღიდან... არა,
ერთხელ კი იყო, შგანო, ბიჭებმა
რომ ამატრუეს და საფლავზე წამი-
ყვანეს... გადამტვრალი ვიყავი მა-

შინ, თვარა, რავა ვიზამდი... ეჰ... —
ერთხანს იუყრა, მერე, უცებ კბი-
ლებში გამოცრა, — დარიკოს სურა-
თიც შეიტანეთ, აქ, მაგიდაზე, ჩქარა!
წუთსაც არ გაეფლო, აცრემლებუ-
ლი ქალი შვჩარჩოიან ლამაზ მანდი-
ლოსანთან ერთად დაბრუნდა.

— მომეცი, მაი სურათი აქ... კი
მარა, შენ რა გატირებს, ქენია?

— შე კაცო, ქვის გული კი არა
მაქ, მეც ადამიანი ვარ!

— მართალი ხარ, თუმცა... წადი
ახლა და შენი ფანდური შეიტანე!

— ფანდური? მე?.. რამდენი ხა-
ნია ხელი არ მომიკიდა...

— ჰო, ფანდური. თუ არ მოგიკი-
და, ახლა მოკიდე! არ უნდა ამას
ბევრი ლაპარაკი... თუ გინდა, შენი
ქმრის სურათიც შეიტანე, ვიცი,
სადაც გაქ დამალული... ჰო, ასე
ქენი...

ახლა ქალი კი არ ქვითინებდა,
ზღუქუნებდა, მაგრამ გახუნებული
ფანდური და ჩითის ნაჭერში შეხვე-
ული ახალგაზრდა მამაკაცის სურა-
თი მაინც მოიტანა. სურათი სახეგა-
ღიმებულ, ლამაზი მანდილოსნის!
მოშორებით ღვინით სავსე ღოჩ-
ხულას მიაყუდა, სამფეხა სკამზე წე-
ლმოწყვეტილი დაეშვა და ალიცილი-
ცებული თვალებით აბრღვიალებულ
მუგუზლებს მიაჩერდა.

ბუხარში ყინვისგან აწრიალებული
ქარის ტოტი დაშლივინებდა და ყა-
ვრის ტატეზე შემოდგმულ ჭრაქის
ლამპის ალს ბაღერინასავით აცეკ-
ვებდა.

გათავისებული ქალი ერთხანს ფან-
დურს აწყოხდა.

კაცი სალამურის ნახვრეტებზე
თითებს ავარჯიშებდა.

ბიკს დოლი მოემარჯვებინა, რაღაც
უსაშველოდ უხაროდა და უფრო-
სებს შესცივინებდა.

— „იცოც ზამთარში, უსახლკა-
როდ...“ — გადახედა ცოლ-შვილს
კაცმა.

და აკუნესდა სალამური, აქვითი-
ნდა ფანდური...

პირველ ხანებში ბიკიც აშუვა რა-
კარუკით, მაგრამ შემდეგ თანდათან
მიუყრდა, ნიკაპი დოლის გარაზე
ჩამოლო და გაინაბა.

ბიბლიოთეკა

ანდრა მორუა

უცხოური ნოველა

— რიეზენტალს ხომ არ იცნობდით, ავსტრიელ პოეტს? — მკითხა მან — საოცარი კაცი იყო...

— მხოლოდ ერთხელ შევხვედრივარ, — მიუღვი, — მასხოვს, რუსეთში მესაუბრა. თუმცა სადაღ, უბრალოდ ლაპარაკობდა, მის ნაამბობს მაინც მსუბუქი ნისლივით სდევდა იღუმალეზა, რაც პერსონაჟებს ბუნდოვან კონტურებსა და ზეადამიანურ ფორმებს ანიჭებდა. ხმაც უცნაური ჰქონდა, თითქო შორეთიდან მოისმისო. დიას, მხოლოდ ერთხელ ვნახე და უფრო მეტვირფასებოდა, ვიდრე უამრავი სხვა, ვის გვერდითაც გამიტარებია მთელი სიცოცხლე... ჩვენი ხანმოკლე შეხვედრიდან მცირე ხნის შემდეგ მისი გარდაცვალების ამბავი შევიტყვი. ძალზე მეწყინა, მაგრამ, მართალი გითხრა, არ გამკვირვებია, ის ხომ ხორციელს თითქმის არც ჰგავდა... შემდეგ, მოგზაურობისას, ხად არ შევხვედრივარ მის მეგობრებს, საფრანგეთში, გერმანიაში თუ იტალიაში და ყველას, ქალი იქნებოდა იგი თუ კაცი, ვისი ცხოვრების გზაზეც ის გამკრთალიყო, ვისთვისაც საკუთარი სულის ნაწილი ჩაედგა, მისი მადლით თუ ნიჭით სხვა მოკვდავთაგან გამორჩეული სიფაქიზისა და მგრძნობელობის ბეჭედი ესვა.

— ძალზე მებამა თქვენე ნათქვამი, — მიპასუხა მან, — რადგან მეც რიეზენტალის მეგობარი ვიყავი. თქვენსავით ერთხელ მყავდა ნანახი, ისიც მხოლოდ ერთი საათით, მაგრამ მისი დავაწყება ვერ მოვახერხებ. სამიწლის წინათ კი, ჩემს სამშობლოში მოგზაურობისას გავხსენებოდი — ბარათი მივიღე, ერთი დღით სტუმრობას მთხოვდა. შემოდგომის პირი იყო, მაღალი მთის ძირას, ჩემს მამულში, უკვე იგრძნობოდა შემოდგომის სუსხი. ბუნებით სუსტი და აზიზი სტუმარი სიგრილემ ძალზე შეაწუხა და რაკილა თბილი სამოსი არ წამოეღო, მორიდებული დიმილით მთხოვა, იქნებ მოსახსნამი რამ მთხოვო. როგორც ხედავთ, ჩვენს საერთო ნაცნობზე უფრო სრული ვარ და ამიტომ გადავწყვიტე, ის ყავისფერი მოსახსნამი იმეცა, ზამთარში, ნადირობისას რომ ვმხარობდი ხოლმე. მისმა დანახვამ რიეზენტალი გაახალისა, ჩემს თვალწინ ტანზე ორმაგად შემოიხვია და ბაღში სასიეროდ ისე გამოიყვა.

შემოდგომის მწუხარე დღემ, სახლმა და ბაღმა, წითლად გამოშრირალმა ფოთლებმა და ბოლოს, ბუხარში შეშის იღუმალმა ტაკუნმა, ისე მოხიბლეს პოეტი, რომ გამგზავრება მეორე დღისთვის გადადო. ღამით ყავისფერი მოსახსნამი საბანზემთ გადაი-

ფარა, დილით კი, მუშაობისას, ხალათის მაგივრად ეცვა. იმ საღამოს გამომიტყდა — გამგზავრება სულაც არ მინდოდა, მეც ამ კაცის მასპინძლობაზე უკეთესს რას ვინატრებდი! ასე მისდევდა დღე დღეს. ორი კვირის შემდეგ რიეზენტალმა დამიბრუნა ყავისფერი მოსახსნამი, რომელიც იმ ხნის მანძილზე ერთხელაც არ მოუცილებია, ღექსი მომიძღვნა და გამგზავრა. რამდენიმე თვის შემდეგ კი მისი სიკვდილის ამბავი გავიგე...

მომდევნო შემოდგომაზე სხვა სტუმარი მეწვია — ფრანგი მწერალი, რომელსაც კარგად არც ვიცნობდი, მაგრამ მისი მჭვირვალე და დაბეჭდილი სტილი ძალზე მომწონდა. ვენაში მიდიოდა და ერთი დღით ჩვენს პატარა ქალაქში შეისვენა. საუზმის დროს ვერა და ვერ ავაწყვეთ საუბარი. ნათლად ვგრძნობდი, როგორ მშორდებოდა და უკანმოუხედავად ქრებოდა მასთან დამეგობრების იმედი — თითქმის არაფერი გვქონდა საერთო და გულსიტკივლით მივხვდი, ისე დავშორდებოდი ერთმანეთს, ნაღდას და გულწრფელს ვერაფერს ვეტყოდი: ნასაუზმევს სიყვითლემუშპარულ ბაღში გავისიერნეთ. ჩემი სტუმარი სინესტემ შეაწუხა და მეც რიეზენტალის ნაქონი მოსახსნამი მივაგებე.

საოცარია, მაგრამ როგორც კი მოსახსნამი მხრებზე მოირგო, თითქო შეცვალესო, სულ მთლად გადასხვაფერდა. გამჭრიახი და გესლიანი ჭკუის პატრონი უეცრად იღუმალი და მელანქოლიური მეჩვენა. დიას, იღუმალი და, თითქოს ნაზიც კი. მწუხრს უკვე მეგობრებად შევხვდით და ერთი დღის სტუმარი, რიეზენტალივით, მთელი ორი კვირა დარჩა.

ამ შემთხვევის შემდეგ, ხომ გცხმით, ყავისფერმა მოსახსნამმა ჩემთვის ძალზე უცნაური აზრი შეიძინა. მსგავსი ამბებისა არაფერი მჭამს, მაგრამ მოსახსნამს მაინც მივაწერე რაღაც სიმბოლური, ქველმოქმედი ძალა.

მომდევნო ზამთარს ერთი ასული შემეყვარდა — მომხიბვლელი ენებოზორ დე დიტრიხი. ძველი, უკვე გადაშენების გზაზე მდგარი, კეთილშობილი გვარისა იყო, ვენაში რომელიღაც გამომცემელთან მუშაობდა და თავს ისე ირჩენდა. ცოლობა ვთხოვე. აშკარად ვგრძნობდი, რომ მოვწონდი, მაგრამ ხომ მოგეხსენებათ ომისშემდგომ წლებში გაზრდილი ქალიშვილების მსოფლმხედველობა, მათ მსგავსად ჩემი რჩეულიც უანატრიკურად აფანებდა დამოუციდებლობას და წინადადებაზე ასე მიპასუხა — ვერ ავიტან ვინმესთან ქორწინე-

ბით ბორკილების დადებასო. მე კი ვგრძნობდი, არ ძალმიძდა იმ უზარმაზარ ქალაქში უტიფარი მამაკაცებისთვის შემეტოვებინა იგი. ასეთ ტანკვაში გავლიეთ რამდენიმე თვე.

გაზაფხულზე ენებოზორი ჩემს მამულში, ვინენერვალდში, სტუმრობაზე დავიყოლიე. პირველსავე საღამოს, ნასადილევს, ბაღში სეირნობისას შევთავაზე:


„თუკი ჩემი გახარება გასრულდება, ნება მომეცით თქვენი ღაბადის ნაცვლად ეს ყავისფერი მოსახსნამი მოგახსროთ. ვიცი, ჩემი სურვილი უაზრობად მოგეჩვენებათ, მაგრამ ამ პირველ საღამოს ხატრს ნუ გამიტებთ. გთხოვთ, ნება დამართოთ, გემუდარებით...“

რა თქმა უნდა, გაცივინა, მაგრამ ყვედრებითა და სიცილ-დაცივივით მაინც დამთანხმდა.



ჩემმა მოსაუბრემ თბრობა შეწყვიტა. მწუხრის ბურუსში ჩვენსკენ მომავალი მომხიბვლელი ქალი შევიხსენე, მხრებზე ყავისფერი მოსახსნამი მოცბურა.

— ჩემი მეუღლე გახლავთ, — გამაცნო კაცმა.

ფრანგულიდან თარგმნა
დომო ყვავილასვილიძე.




უურნალ „დროშის“ 1983 წლის ლაურეატები




ალულა არაბული



ნოდარ ასათიანი



რევაზ დანელია




აკაკი გეწაძე




ჯანგირ მამალაძე



შალვა მახარაძე




ლეილა მესხი




თემურაზ თოფურია



რამაზ სურმანიძე



ერემია ქარელიშვილი



გიორგი ჭავაშიშვილი



მზია ხეთაური



გიორგი ხორგუაშვილი

„დროშის“ სარედაქციო კოლეგიის გადაწყვეტილებით უურნალ „დროშის“ პრემიით აღინიშნა 1983 წლის მანძილზე გამოქვეყნებული შემდეგი ნაწარმოებები: მწერლების ალულა არაბულის და რევაზ დანელიას ნარკვევები: „აკაკი გულიდან იწყება“, „ჩვენი მესხეთ-ჯავახეთი“, „ზვიადი მთების სამეფოში“ (№ 6, № 7, № 10); ნოდარ ასათიანის წერილები: „ფესვები დიდი მეგობრობისა“ და „წიგნი ფიცისა“ (№ 4, № 7); მწერალ აკაკი გეწაძის ლექსები „სიყვარულის ფერადი მძივი“ (№ 7); უურნალ საქართველოს მედიცინის“ მთავარი რედაქტორის ჯანგირ მამალაძის წე-

რილი „ბავშვთარესპუბლიკური“ (№ 8); მწერალ ლეილა მესხის მოთხრობა „ქაჯების სასახლარი“ (№ 8, № 9); თემურაზ თოფურიასა და შალვა მახარაძის წერილი „სამედიცინო მომსახურების დონის ამალღებისათვის“ (№ 10); რამაზ სურმანიძის წერილი „ერეკლე მეფის ადრესატი“ (№ 3); ერემია ქარელიშვილის წერილი „სახელოვნად გავლილი გზა“ (№ 10); გიორგი ჭავაშიშვილის ნარკვევები: „ძმობის კვალდაკვალ“, „თელაველი მესურათხატენი“ (№ 4, № 8); მზია ხეთაურის მოთხრობა „დავე და ვანე“ (№ 6); გიორგი ხორგუაშვილის ნარკვევი „ამირანის გულში ნამღერი“ (№ 11).

„დროშის“ 1983 წლის ფოტოკონკურსის უაღრესი

მეორე პრემია (200 მანეთის ოდენობით) მიენიჭათ:

თარხან არჩვაძეს — ფერადი ფოტობორტრეტისათვის „თანარ გვერდწითელი“ („დროშა“ № 3).

ბონდო დადვაძეს — ფოტოების სერიისათვის — „სტავროპოლის მხარეში“ („დროშა“ № 7).



ანატოლ რუხაძეს — ფოტოების სერიისათვის: ანსამბლი „ივერია“, „მთათუშეთი“, „თუში გოგონა“ („დროშა“ № 11).

მესამე პრემია (100 მანეთის ოდენობით) მიენიჭათ:

ელუარდ გიგილაშვილს — ფოტოეტიუდისათვის „ზამთრის პეიზაჟი“ („დროშა“ № 12).

ბონდო დვალიშვილს — ფოტოების სერიისათვის „გზა დაგელოცოს“ და „ღებოუტი“ („დროშა“ № 1, № 12).

ვიქტორ ჭეირანოვს — ფოტოეტიუდისათვის „პირველი გაცეკვილი“ („დროშა“, № 9).



შპეულად: 1. ქართველი მხატვარი; 2. ბამბის, ან აბრეშუმის მკვრივი ქსოვილი; 3. ქვეყნის მხარეთა გასარკვევი ხელსაწყო; 4. შექსპირის ნაწარმოების პერსონაჟი; 9. ქართველი მწერალი; 11. სამხატვრო გამოფენის გახსნის დღე; 14. ჭადრაკის წინამორბედი თამაში ინდოეთში; 15. გაუთეს ტრაგედია; 16. ქალაქ ოსლოს სტადიონი; 20. ვისიმე საქმიანი, ან პოლიტიკური კვალიფიკაციის განსაზღვრა; 21. სპორტის სახეობა; 24. ა. პუშკინის ნაწარმოების პერსონაჟი; 25. მეომარი ქვეყნის მიერ თავის ტერიტორიაზე ნეიტრალური ქვეყნის ტრანსპორტის შექცობა საომრად გამოყენების მიზნით.

თარბულად: 5. დიდი ხელოვანის საპატიო სახელი; 6. პურეული მცენარე; 7. სამხედრო გემების დიდი შენაერთის სარდალი; 8. მოვლენის, ამბის, ან პიროვნების განდიდება; 10. მარცვლეულის სახეობა; 12. კავშირი, გაერთიანება; 13. შეჯიბრება სპორტის რომელიმე სახეობაში; 17. ლიტერატურული ნაწარმოების შესავალი ნაწილი; 18. ლითონთა უანგეულების ქიმიური ნაერთი წყალთან; 19. ქართველი პარტიზანი, იტალიის სახალხო გმირი; 22. დიდი, საწვიმო ხასიათის მუსიკალურ-ინსტრუმენტული ნაწარმოები; 23. საზომი ერთეულის ზუსტი ნიშნუმი; 26. თბილისში დაკრძალული ესპანეთისა და საერთაშორისო მუშათა მოძრაობის მოღვაწე; 27. ხელოვნური სინთეტიკური ბოჭკო; 28. ვალის წინდი; 29. ვერცხლისწყალთან სხვა ლითონის შერევით მიღებული ხსნარი, ან შენადლობი; 30. პატარა ღირიკული არაი; 31. მილიმეტრის მეთათხედვი ნაწილი; 32. გამჭვირვალე ქსოვილზე, ან მინაზე ორივე მხრიდან დახატული სურათი.

შპეულად: 1. შემოქმედებითი წარმოსახვა; 2. საბჭოთა პარტიული მოღვაწე, პირველი ელჩი ქალი მსოფლიოში; 3. რომის პაპის გვირგვინი; 4. კედლის, ან ხალიჩის არშია, ბორღიური; 5. დაშაშხული ხორცი; 6. სახელმწიფო რომის იმპერიის აღმოსავლეთ ნაწილში; 9. საფოსტო მარკების შემგროვებელი; 10. მიკროორგანიზმების მიერ წარმოქმნილი ქიმიური ნივთიერება; 13. ამფითერატი I საუკუნის რომში; 14. ცხენოსნის წიკლა; 15. აფხაზეთის სოფელი; 20. ფოლადის კარკასი რკინა-ბეტონის კონსტრუქციებში; 21. ინდოეთის კოსმოსური ხომალდის სახელწოდება; 22. მუსიკალური ნაწარმოების მთავარი ნაწილის შესავალი; 23. „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟი; 26. იტალიელი კომპოზიტორი; 27. მტაცებელი ცხოველი.

თარბულად: 7. რუსი პოეტი; 8. აზრის გამოხატვის ესა თუ ის ფორმა, ფორმულირება; 9. დასრულებული აზრის სიტყვათა წყობა; 11. ჭაბუა ამირეჯიბის ნაწარმოების პერსონაჟი; 12. კუჭქვეშა ჭირკვლის ჰორმონი; 14. სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულება; 16. გრძელი, უტარო მათრახი ძველად; 17. მთათა სისტემა აზიაში; 18. კოლექტიური შუამდგომლობა; 19. იპონური პოეზიის უძველესი უნარი; 22. პერიოდულ გამოცემათა ერთობლიობა; 24. ხუროთმოძღვარი; 25. რიცხვთა რიგის თითოეული წევრი სტატისტიკაში; 27. ორგანიზმებისა და გარემოს ურთიერთდამოკიდებულების შემსწავლელი მეცნიერება; 28. აზიის სახელმწიფო; 29. ვაგლენა, ავტორიტეტი, ნდობა; 30. ლავანის სახელწოდება ინგლისში.

კროსვორდები შეადგინა ცილა აბაშუქელაძე.

„დროშა“ № 1-ში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები

შპეულად: 1. ბენეფისი; 2. ავიაცია; 3. კალიბრი; 4. პლომბირი; 7. სენსი; 10. ამაშუკელი; 11. ბიულეტენი, 12. პროექტი, 13. იალბუზი, 18. ტიპოგრაფია; 19. ბალეტი; 20. შტურმანი; 22. ინფანტი; 23. ახტურია.

თარბულად: 5. ლებღევი; 6. კარამელი; 8. კლავესინი; 9. აფრა; 11. ბიბა; 12. „პიონერი“; 14. ესკადრა; 15. იაგუარი; 16. რულეტი; 17. საბვეი; 21. დეფექტი; 23. აზბესტი; 24. ინგლისი; 25. შაბი; 26. იორი; 27. ავანტიურა; 28. სტატისტი; 29. ბიათლონი.

კორექტორი ცისანა სიჭინავა
მონტაჟი ნანული დანელიანი

გარეკანის პირველ გვერდზე: ქართული ფოლკლორის სახელმწიფო ანსამბლ „თბილისის“ სოლისტი **ლალი ტაშერაშვილი**. ფოტო სერგო ედიშერაშვილისა. მეორე გვერდზე: „სუნთქვა გაცხელებული-სა“. ფოტო ჯავარ ლომაძისა, მეოთხე გვერდზე: „ზამთრის პეიზაჟი“. ფოტო თარხან არჩვაძისა.

გადაეცა წარმოებას 30.1. 84 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 1.11. 84 წ., უფ 07823. ქაღალდის ზომა 70x163/8. იბეჭდება: გარეკანი და ჩანართი — მაღალი ბეჭდვით, ტექსტი — ოფსეტური წესით. ფიზიკური ფურცელი 3, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 4,2 სააღრიცხვო-საგა-შომცემლო თაბახი 5,09, ტირაჟი 48.200. შეკვ. 288 ფასი 35 კაპ.
886096, თბილისი, ლენინის ქ. № 14, საქართველოს კ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა.

რედაქციის მისამართი:
380008, თბილისი 8, რუსთაველის პრ. 42. ტელ. — მთავარი რედაქტორის — 99-54-86, მთ. რედაქტორის მოადგილის — 99-82-69, პ/მგ. მდივნის — 99-01-39, განყოფილება-თა გამგეების — 93-28-42, რედაქციის სამდივნოსი — 99-54-66.
რედაქციაში შემოსული მასალა ავტორს არ უბრუნდება.

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал «Дроша» («Знамя»), (на грузинском языке). 380096, Тбилиси, ул. Ленина, 14. Типография издательства ЦК КП Грузии.
Адрес редакции: 380008, Тбилиси, 8, пр. Руставели, 42.

საქართველოს
ფოტოგრაფიული
სამსახური



ძეგლები დაღვანი...

ფოტოგრაფები ვ. დემეტრაშვილისა

63/52
6

ეროვნული
ბიბლიოთეკა



0680360 76056

საქართველო